

240258  
3

ეროვნული  
სამეცნიერო

საქართველოს  
ეკლესია  
ორ მსოფლიო ომს  
შორის



ნუბზარ კაკუაშვილი

# საქართველოს ეკლესია ორ მსოფლიო ომს უორის

ყოველი გამოცადათ და  
უკეთესი შეიკრძალეთ  
1 თეს. 5,21

თბილისი  
1996

აღნიშნული პერიოდი ისტორიის დრამატული ფურცელია. მისი წიხი მძიმედ დააწვა საქართველოს ეკლესიას. ომმა, რევოლუციამ და ლეგნილებამ მოიტანა სისხლი და ცხედრები და გამოჩინა დაფარული, სადაც ავი და კარგი, ღალატი და ძმობა, რწმენა და ცრურწმენა, მეცნიერება და უმეცრება, პროგრესი და რეგრესი ერთმანეთს გადაწვოდა. ესაა ეპოქის არსება და, ავტორის ფიქრით, იგი დღეს მხოლოდ გახსნილი გონებით, დინჯი მსჯელობით, ღმობიერებით და შემწყნარებლობით შეიძლება.

განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

გამომცემელი და რედაქტორი  
დეკანოზი ზაქარია ძინძიბაძე  
მხატვარი ვია ბულაძე

K 240258

სკეპ-2000  
შემოწმებულია

© ნ.პაპუაშვილი, ზ. ძინძიბაძე

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

## წინაპი

1914-1945 წლების კატაკლიზმებმა და რევოლუციამ გამოძახილი ამა თუ იმ ფორმით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაშიც ჰპოვა. მისი ისტორიის ეს მონაკვეთი მდიდარი და მრავლისმომცველია. მიუხედავად ამისა ქართველოლოგიურ მეცნიერებაში იგი დღემდე ყამირი მიწაა. ჩვენი მიზანი კი — მასალების თავმოყრისა და სისტემატიზაციის პირველი ცდა.

უნდა აღვნიშნოთ:

დოკუმენტური მასალა, ახლო წარსულის მიუხედავად, ბევრი არ შემორჩა: ზოგი განადგურდა ომისა თუ ქარტახილების გამო, ზოგი სხვადასხვა მოტივით მოსპეს. რაც შემორჩა, ტოტალიტარული რეჟიმის დროს დაგმანული იყო არქივთა სპეციალურ ფონდებში. მათი ნახვისა და დამუშავების პროცესს გარკვეული სიძნელები — ხელოვნურად შექმნილი ბარიერები — ახლდა. მართალია, დღეს მდგომარეობა შეიცვალა, მაგრამ ყველა დოკუმენტის მიკვლევა და წარმოჩენა ერთბაშად, ცხადია, არ ხერხდება. არც წინამდებარე მიმოხილვას აქვს საკითხის ამოწურვის პრეტენზია. თუმცა ვეცდებით, ყურადღების მიღმა არც ერთი თვალსაჩინო ფაქტი თუ ტენდენცია არ დაგტოვოთ. ვეყრდნობით და ვითვალისწინებთ როგორც ნაბეჭდ, ისე ხელნაწერ დოკუმენტებს.


## საუკუნეთა გზაჯვარედინზე



ვეტიკრობთ, ქვემოწარმოდგენილ პრობლემათა არსის უკეთ გაგებისათვის, სასურველია, ორიოდ სიტყვა ვთქვათ საქართველოს ეკლესიის ადგილზე ქრისტიანულ სამყაროში.

ბერძნული წერილობითი წყაროების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანობის თესლი მოაბნიეს მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა და სვიმეონ კანანელმა. ამის გამო საქართველოს ეკლესია იწოდება სამოციქულოდ, რაც სრულყოფილი ავტოკეფალიისათვის ბრძოლის ერთ-ერთი საფუძველი იყო. გიორგი მთაწმინდელმა (1009—1065) — წმინდანმა, მთარგმნელმა და ფილოლოგმა — ანტიოქიის საეკლესიო კრებაზე, სადაც იხილებოდა საკითხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, ზემოაღნიშნული ცნობა არგუმენტად მოიძარჯვა; დაეყრდნო იოანე მახარებელს (1, 40—42) და განაცხადა: ქრისტესთან პეტრე ანდრიამ მიიყვანა: ანდრია მხმობელია, პეტრე — ხმობილი. საქართველოს ეკლესია ანდრიას დაფუძნებულია, ანტიოქიისა — პეტრესი. არ არის მიზანშეწონილი, მხმობელი ხმობილს დაემორჩილოს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, საქართველოს ანუ ანდრიას ეკლესია — ანტიოქიის ანუ პეტრეს ეკლესიასო. მოსალოდნელია — პირიქით! (უკანასკნელი, ცხადია, წარმოითქვა ღიმილით). ეს მოტივი იმხანად საკმარისი აღმოჩნდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის იურიდიული საფუძვლების ცნობისა და დადასტურებისათვის.

ამ მოტივს, რა თქმა უნდა, აძლიერებდა და ამყარებდა მეორე, — უფრო სერიოზული მოტივი: საქართველოს ეკლესიის სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების დონე. XI ს-მდე ქართულ ენაზე უკვე ეთარგმნათ ქრისტიანული მოძღვრების ყველა პირველხარისხოვანი ძეგლი. მამასადამე, მორწმუნე ერი თვალს უსწორებდა მსოფლიო ეკლესიის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას, გაჩნდა საკუთარი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის, კანონიერი, მართებული და ობიექტური დასკვნების გამოტანის უნარი; პყავდა წმიდა მოწამეთა და ღირს მოღვაწეთა დიდი გუნდი; მთარგმნელთა, მწერალთა, ღვთისმეტყველთა და ფილოსოფოსთა დასი, ე.ი. ებოვა მაღლი ღვთისა და კაცის წინაშე, რაც მომავალშიც მართებულ პოზიციაზე მის მყარად და კეთილად დგომის იმედს ნერგავდა.



ზემოთქმულის გათვალისწინების შემდეგ ანტიოქიის საპატრიარქომ, ვისი იური-  
სდიქცია ადრე აღმოსავლეთის სხვა ეკლესიებზეც ვრცელდებოდა, XI ს-ის შუა წლებში  
აღიარა მცხეთის საკათალიკოსო საყდრის თვითმმართველობის იურიდიული უფლება.

საქართველოს საპატრიარქო ამ უფლებით სარგებლობდა XIX ს-ის დასაწყისამ-  
დე. რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ (1801 წ)  
ჯერი უხუცეს სამოციქულო ეკლესიაზე მიდგა: იმპერატორის ბრძანებით 1810 წელს  
პეტერბურგში გაიწვიეს კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II, აღარ დართეს სამშობლო-  
ში დაბრუნების ნება და 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმეს.  
შექმნეს საეგზარქოსო. ეგზარქოსებად ნიშნავდნენ და გზავნიდნენ რუსი ეროვნების  
მღვდელმთავრებს, რომლებსაც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ საქართველოს  
ისტორიასა და კულტურაზე. დაიწყო საქართველოს ეკლესიის რეორგანიზაცია რუსე-  
თის ეკლესიაში დამკვიდრებული სისტემისა და ტრადიციების მიხედვით.

საკათედრო ტაძრებში მღვდელმსახურება ხალხისათვის გაუგებარ ენაზე — რუ-  
სულზე — სრულდებოდა, რამაც არასასურველი ნაყოფი გამოიღო: ადგილობრივ  
მოსახლეობაში დაეცა ეკლესიის ავტორიტეტი და განელდა რელიგიური გრძნობა. ამ  
ფაქტმა დააფიქრა საქართველოს ეკლესიის მესვეურები და გულშემატკივრები. მათ  
კატეგორიული მოთხოვნები წაუყენეს რუსეთის სამეფო კარსა და უწმიდეს სინოდს,  
რათა დაებრუნებინათ საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალია. ქართველების  
გვერდით, სხვათა შორის, ბევრი რუსი ისტორიკოსი და ღვთისმეტყველი იდგა (მაგ.  
პროფესორები: სოკოლოვი და ზაოზერსკი). აღსანიშნავია, რომ საქართველოს მართ-  
ლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის განახლებისათვის იბრძოდნენ აგრეთვე თა-  
ნამემამულე კათოლიკებიც. მათ გაზეთში „ჯვარი ვაზისა“ ამ თვალსაზრისით ბევრმა  
საყურადღებო დოკუმენტმა პირველად იხილა სინათლე. რედაქცია ფართოდ უღებდა  
კარს მართლმადიდებელ სასულიერო პირებს და მათთან ერთად მსჯელობდა საღვთი-  
სმეტყველო-საზოგადოებრივ პრობლემებზე.

XX ს-ის პირველ ათეულში დაიწერა და გამოქვეყნდა სამეცნიერო შრომები და  
პუბლიცისტური წერილები, სადაც საბუთდებოდა შემდეგი: 1) საქართველოს ეკლესიის  
ავტოკეფალია XIX ს-მდე იყო არა მხოლოდ De facto, არამედ De jure-ც; 2) 1811  
წელს რუსეთის ხელისუფლებმა ავტოკეფალია გააუქმეს არაკანონიერად, — ადმინი-  
სტრაციული წესით, რითაც დაირღვა მოციქულთა 30-ე, 34-ე და ანტიოქიის 22-ე  
კანონები; 3) სწორედ რელიგიური მოტივით, ე.ი. მოსახლეობაში სარწმუნოების

დანერგვისა და აღორძინების მიზნით აუცილებელია, განახლდეს საქართველოს ეკლესიის თვითმმართველობა.

რუსეთის მთავრობამ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა მიანდო საეკლესიო კრებას, რომლის მოსამზადებელი სხდომები მიმდინარეობდა 1906-1907 წლების მიჯნაზე. იქ იხილებოდა ქართველი სამღვდლოების მოთხოვნები ავტოკეფალიის თაობაზე. მოისმინეს, ქართველთა მხრიდან, ეპ.კირიონის (საძაგლიშვილის), პროფ. ალექსანდრე ცაგარელის, პროფ. ალექსანდრე ხახანაშვილისა და პროფ. ნიკო მარის მოხსენებები (მასალები იხ. ე.ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთ., 1918). საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სასარგებლოდ მოიხმეს მრავალი არგუმენტი, მაგრამ დასკვნა ვერ გამოიტანეს. პროცესს აჭიანურებდნენ და დააკონსერვეს კიდევ პრობლემების უფრო ღრმად დამუშავების საბაბით (ცხადია, კრებაც არ შედგა). ავტოკეფალიის მოწინააღმდეგეთა პოზიციის, კერძოდ — მათი პრეტენზიების ანუ გაჭიანურების მოტივების წარმოსაჩენად მოვიტანთ ერთ მაგალითს, რაც, ჩვენი აზრით, ტიპურია და საინტერესოა. რუსი იერარქების მტკიცებით, საქართველოს ეკლესიას მათ გარეშე გაუჭირდებოდა თავის წილში ორთოდოქსიის სრულყოფილად დაცვა. უწმიდესი სინოდის ობერპროკურორს თურმე ყური მოუკრავს, რომ ნიკეა-კონსტანტინოპოლის „სარწმუნოების სიმბოლოს“ მე-6 მუხლის ქართულ თარგმანში ნახსენებია სიტყვა „კათოლიკე“: „ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“. მას არ სცოდნია ამ ტერმინის დედნისეული მნიშვნელობა (აღნიშნული მუხლი ბერძნულად იკითხება ასე: „ვის მიან ჰავიან, კათოლიკენ კაი აპოსტოლიკენ ეკლესიან“, სადაც „კათოლიკე“ ნიშნავს „საყოველთაოს“, „მსოფლიოს“. ქართულ თარგმანში სიტყვა „კათოლიკე“ დატოვებულია უცვლელად, რუსულში კი თარგმნილია „Соборную“-დ). ამის გამო საკითხში გაუთვითცნობიერებელ პროკურორს აქ, ქართულ თარგმანში, „რომის კათოლიკური ეკლესიის ერესის“ გავლენა მოსჩვენებია... (იგონებს ილია ჭავჭავაძე, რომელიც მაშინ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრი იყო. იხ. ე. „მნათობი“, 1985, №2, გვ. 174).

ეროვნულ სამღვდლოებას მხარს უზამდნენ ჩვენი წარსულის მკვლევრები და საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ნიკო მარი, ალექსანდრე ცაგარელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, სერგი გორგაძე, თედო ყორანია, სარგის კაკაბაძე, ანტონ ნატროშვილი, თედო სახოკია, იროდიონ სონღულაშვილი, ივანე ჭავჭავაძე და სხვანი. ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს: „... ბოლოს და ბოლოს გადავწყვიტეთ დიდი დემონსტრაცია მოგვეწყო და ავტოკეფალია მოგვეთხოვა. თან

უნდა წაგველო ბაირაღები და პლაკატები წარწერით: „აღვედგინეთ ავტოკეფალია!“ წამოიჭრა საკითხი: ვინ უნდა გაძლოდა წინ ამ არაჩვეულებრივ დემონსტრაციას? ილიამ გვითხრა: თუ საჭიროა, მე წაგიძღვებითო“.

იმპერიის მთავრობა საგონებელში ჩავარდა. ეჩვენებოდათ, რომ „ქართველ სეპარატისტებს“ ავტოკეფალია პოლიტიკური და რევოლუციური მიზნით სჭირდებოდათ, ისინი, თითქოს, სოციალ-დემოკრატების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და ა.შ. 1907 წლიდან დაიწყო ე.წ. „ავტოკეფალისტების“ დევნა. ეპ.კირიონი (საბაგლიშვილი), ეპ.დავითი (კაპახიძე) და არქ. ამბროსი (ხელაია) გადაასახლეს. გაააქტიურეს ავტოკეფალიის საწინააღმდეგო პროპაგანდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს: დადგა თუ არა ხელსაყრელი ვაჟი, ავტოკეფალიისათვის ბრძოლა განახლდა.

ორ მსოფლიო ომს შორის საქართველოს ეკლესიის დღის წესრიგში უმთავრესად ზემოწარმოდგენილი პრობლემები და სახელმწიფოსთან ურთიერთობის საკითხი იდგა.

## ომი. რევოლუცია. თავისუფლება

მიმოვიხილავთ საკითხებს შედარებით ვრცლად:

პირველმა მსოფლიო ომმა სტიმული მისცა რუსეთის იმპერიაში შემავალი ერების თვითგამორკვევის პროცესს. განახლდა საქართველოს პოლიტიკური და ეკლესიური დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა. პეტერბურგს 1914-1917 წლებში გაიგზავნა რამდენიმე პეტიცია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის განახლების შესახებ. ამ საგნის გარშემო გახშირდა დებატები, საჯარო გამოსვლები, მანიფესტაციებიც კი.

სინოდმა რადიკალურ ზომებს მიმართა.

1916 წლის 25 თებერვალს უწმიდესი სინოდის ობერპროკურორმა სახელმწიფო სათათბიროში განაცხადა, რომ რუსეთის ტერიტორია ამიერიდან დაიყოფა „სამიტროპოლიტო ოლქებად“. ამ რეფორმას, ცხადია, შედეგად მოჰყვებოდა „საქართველოს საეგზარქოსოს“ გაუქმება და მის ნაცვლად „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქის“ შემოღება (იხ. გაზ. „კოლოკოლი“, 1916, № 2935).

უწმიდესი სინოდის გადაწყვეტილებას საქართველოში საპროტესტო რეაქცია მოჰყვა, რადგან დროულად გააცნობიერეს მისი მიზანი. ამას ადასტურებს საგაზეთო პუბლიკაციები, რომელთაგან დავიმოწმებთ სასულიერო მწერლობის უბადლო მკვლევრის დეკ.კორნელი კეკელიძის (შემდეგ — აკადემიკოსის) სტატიებს — „კავკასიის



სამიტროპოლიტო ოლქი“ და „საქართველოს საეგზარქოსო“ (ისტორიულ-კანონიკური მიმოხილვა) (გაზ. „საქართველო“, 1916, №51, 55).

იქ წარმოჩენილია და მხილებული სინოდის ჩანაფიქრის საფუძველი. ნათქვამია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ 1811 წელს დაუშვა უნებლოე შეცდომა: საქართველოს „საკათოლიკოსოს“ გაუქმებით და „საეგზარქოსოს“ შემოღებით, თავისთავად, ისტორიულ-კანონიკურ ტრადიციას თუ დავეყრდნობით, აღიარებულ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, დამოუკიდებლობა. ცხადია, გენერალ ტორმასოვის, ამ რეფორმის რეალიზატორის, მიზანი საქართველოს ეკლესიის სრული ინკორპორაცია, მის თვითთავადობაზე ყოველგვარი მინიშნების ამოშანთვა იყო. ამისათვის შემოიღო ტერმინი „ეგზარქატი“, მაგრამ ვერ გაითვალისწინა ცნების შინაარსი. „ექსარქოსი“ წარმოშობით ბერძნული სიტყვაა — „ექსარხოს“ და ნიშნავს უზენაეს განმგებელს ისეთი ადგილისას, რომელიც განსაზღვრული ტერიტორიის გარეშე იმყოფება და მის ორგანულ ნაწილს არ შეადგენს. ანტიკურ ეპოქაში ეს სამოქალაქო ტიტული იყო. საეკლესიო მნიშვნელობა ბიზანტიაში შეიძინა. ამ სახელწოდებით იქ მოიხსენიებდნენ, როგორც ჩანს IV მსოფლიო კრების მე-9 და მე-17 კანონიდან, სრულიად დამოუკიდებელ, ავტოკეფალურ საეკლესიო ოლქის საჭეთმპყრობელს, რომელსაც, ძველი ქართული ტერმინოლოგიით, „კათალიკოზი“ ეზოდება, ბიზანტიურით — პატრიარქი. კ.კეკელიძისავე დაკვირვებით, შემდგომ საუკუნეებში „ეგზარქოსებად“ აღმოსავლეთში იწოდებოდნენ ის მღვდელმთავრები, რომლებიც დროებით განაგებდნენ „დაქვრივებულ“ ავტოკეფალურ კათედრას. რუსეთის ეკლესიაშიც „ეგზარქოსად“ სახელდებდნენ დაქვრივებული საპატრიარქო კათედრის „დროებით მცველს“. ამრიგად, დასძენს მკვლევარი, „ფილოლოგიური, ისტორიული, კანონიკური თვალსაზრისით „ექსარხოსი“ აღნიშნავს უზენაეს გამგეს ავტოკეფალურ ოქისას, რომელიც მეორე ოლქის გარეშე იმყოფება და მის ორგანულ ნაწილს არ შეადგენს. მაშასადამე, ტერმინი „საქართველოს საექსარხოსო“ თვით რუსების მიერ შემოღებული არგუმენტია ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობისა: ის გვეუბნება, რომ საქართველოს ეკლესიის ინკორპორაცია ჯერ არ მომხდარა. ის დღესაც დამოუკიდებელი საპატრიარქოა. მხოლოდ მას, როგორც „დაქვრივებულს“, დროებით რუსეთის „ექსარხოსი“ განაგებს“. ეს ტერმინი თავისი შინაარსით მიგვანიშნებდა, რომ, თუ ახლა არა, ოდესღაც მაინც ყოფილა საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელი.

ასე რომ, XIX ს-ის 10-იან წლებში დაარსებული საეკლესიო ინსტიტუტის სახელი

— „საქართველოს საეგზარქოსო“ თავისთავად მოიცავდა ავტოკეფალიის იდეას და მის შეილებს ამ იდეის რეალიზაციისაკენ უხმობდა. ჩანს, ეს ფაქტი ანუ „ტორმასავის შეცდომა“ იმპერიის რღვევის პირველსავე ეტაპზე შეიგნეს და გააანალიზეს რუსეთის საერო და სასულიერო ხელმძღვანელებმა და გადაწყვიტეს მისი „გამოსწორება“ ზემომითითებული რეფორმის — „საეგზარქოსოს“ „სამიტროპოლიტო“ გადასხვაფერების, უფრო ზუსტად, გადარქმევის — გზით. ამით სურდათ საქართველოს ეკლესიის ყოველმხრივი ინკორპორაცია. მართლაც, „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქის“ საშუალებით საქართველოს ეკლესიის სახელი დოკუმენტებშიც, ქალაღღზეც კი გაქრებოდა, მისი ფიზიონომია მოიშლებოდა.

ამ ინფორმაციამ, ბუნებრივია, შეაშფოთა საზოგადოება.

ჩანს, მდგომარეობის სირთულე გაითვალისწინა ეგზარქოსმა პლატონმა და გვერდით ამოუდგა ქართველ სამღვდლოებს. ალბათ, ამ ფაქტსაც გაუწიეს ანგარიში პეტერბურგში, რის გამოც აღნიშნული გადაწყვეტილება იმხანად არ განახორციელეს.

სამაგიეროდ არანაკლებ მიუღებელი და სახიფათო ტენდენცია გამოავლინეს. საეკლესიო ისტორიაში ამ ტენდენციას ეწოდება ფილეთიზმი, რაც ეკლესიების ტომობრივ დაყოფას, ეროვნებების მიხედვით ორგანიზებას ნიშნავს. იგი მკაცრად დაგმობილი წმიდა მამებისა და მასწავლებლების მიერ, რადგან ეწინააღმდეგება ქრისტიანობის, როგორც საყოველთაო რელიგიის, სულისკვეთებას და შეაქვს ქაოსი საეკლესიო ცხოვრებაში ერთაშორისი ურთიერთობის თვალსაზრისით. ამის გამო, იურიდიული ნორმების თანახმად, ეკლესიები (სამრევლოები, საეპისკოპოსოები, საპატრიარქოები თუ, ზოგადად, — ეპარქიები) ორგანიზებულია არა ეროვნების, არამედ ტერიტორიების მიხედვით. არსებობს არა „ქართული ეკლესია“, არამედ „საქართველოს ეკლესია“, რომელიც აერთიანებს სახელმწიფოს საზღვრებს შორის მცხოვრებ მართლმადიდებლებს ტომისა და კანის ფერის განუსხვავებლად. შესაბამისად, ვფიქრობთ, უმჯობესია ითქვას და დაიწეროს — „საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის ფონდი“, რადგან ტერმინი „ქართული ეკლესია“ უნებლიეთ მოიცავს ფილეთიზმის თესლს, რაც, არ იცის კაცმა, როდის ამოყოფს თავს... ფილეთიზმი კი პირველ რიგში იმპერიულ პოლიტიკას უმართავს ხელს და ემსახურება „გათიშე და იბატონეს“ პრინციპს.

გამონაკლისი არც რუსეთის იმპერია იყო.

მან ექსპერიმენტი ყველაზე ცხელ წერტილში — აფხაზეთში — მოსინჯა. 1916 წლის მარტში უწმიდესი სინოდის ერთ-ერთმა კომისიამ განიხილა და მოიწონა პრო-

ექტი, რომელიც სოხუმის ეპარქიისაგან „არაქართული სამრევლოების“ გამოყოფას ითვალისწინებდა. გამოყოფილი სამრევლოები, პროექტის თანახმად, მიეწეებოდა „შავი ზღვის ეპარქიას“, რომელიც მომავალში უნდა შექმნილიყო საქართველოს ფარგლებს მიღმა, აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთით. თუკი ეს განზრახვა ხორცს შეიხამდა, საქართველოს საეგზარქოსოს (იგივე საქართველოს ეკლესიას) ჩამოშორდებოდა „არაქართველი მრევლის“ ნაწილი.

მაინც ვინ იგულისხმებოდა „არაქართველ მრევლად“?

დეკ. კ.კეკელიძის დამოწმებული წყაროს თანახმად, სოხუმის ოლქის მართლმადიდებელი მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას ოფიციალური ასე წარმოსახავდა: რუსები — 3648 სული, აფხაზები — 20777 (მათი საერთო რიცხვია 37976), ბერძნები — 4079, სვანები — 170, სამურზაყანოელები — 35516, მეგრელები — 17346 და ქართველები — 6053. მაშასადამე, იმპერიის მთავრობა არამც თუ აფხაზებს, სამურზაყანოელებს, მეგრელებსა და სვანებსაც კი არ სცნობდა ქართველური მოდემის ერებად (თუმცა, ეს საკითხი როგორც ქართულ, ისე ევროპულ ორიენტალისტიკაში კარგა ხნის გარკვეული და დაზუსტებული იყო). ამ გემის თანახმად, სოხუმის ეპარქიაში რჩებოდა მხოლოდ და მხოლოდ 6053 ქართველი. მრევლის დანარჩენი ნაწილი უნდა დაქვემდებარებოდა ეპარქიის საზღვრის გარეთ მცხოვრებ ეპისკოპოსს.

ეს კი, ფაქტობრივად, სოხუმის ეპარქიის გაუქმებას, უფრო ზუსტად — მის საქართველოს ეკლესიისაგან ჩამოშორებას ნიშნავდა, რამაც აღაშფოთა ყველა კეთილგონიერი მოქალაქე. კ.კეკელიძის თქმით, „სოხუმის ეპარქია საქართველოს საკათალიკოსოს ისტორიულ საკუთრებას და განუკვეთელ ნაწილს შეადგენდა და შეადგენს. მისი საქართველოს ეკლესიის სხეულისაგან ჩამოჭრა იქნება ახალი აქტი ძალმომრეობისა, რომელიც კატეგორიულად დაგმობილია მესამე მსოფლიო კრების მერვე კანონით. დღეს სოხუმის ოლქში გამოყოფენ „არაქართულ“ სამრევლოებს, ხვალ თბილისის გუბერნიაში მოძებნიან ასეთ სამრევლოებს, ზეგ სხვაგან. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ეკლესია დაემსგავსება რტომეჭრილ და შეკვეცილ ხეს და საქართველოს საეკლესიო საკითხიც სულ უბრალოდ გადაწყდება. ყველა ვალდებული ვართ ხმა ამოვიღოთ ამის წინააღმდეგ. განსაკუთრებით ხმის ამაღლება ჰმართებთ სოხუმის ოლქსა და მის შეგნებულ ელემენტებს“ (დეკ. კ.კეკელიძე, ახალი სიურპრიზი, გაზ. „საქართველო“, 1916, №70).

ამ პრობლემების წინაშე იდგა საქართველოს ეკლესია, როდესაც, 1917 წლის 25 თებერვალს, რუსეთში გაიმარჯვა რევოლუციამ. იმა წლის 3 მარტს გამოცხადდა


სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლება. გამოიცა დეკრეტი ერთა თვითგამორკვევის შესახებ. დასუსტდა რეჟიმი. დაიწყო იმპერიის დეცენტრალიზაცია და რღვევა.

აღნიშნული წლის 12 მარტს, კვირას, საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში, საპატრიარქო ტაძარში — სვეტიცხოველში — თავი მოიყარა ათი ათასზე მეტმა ქალმა და კაცმა. ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილები იყვნენ, რომელთაც კარდინალური პრობლემა უნდა გადაეჭრათ.

შედარებით ვრცელი ინფორმაცია ამ ფორუმის შესახებ წარმოდგენილია ე.ნიკოლაძის ზემოდამოწმებულ წიგნში (გვ. 228-241). იქ ვკითხულობთ, რომ ფორუმში მონაწილეობდნენ ქართველი მღვდელმთავრები: ლეონიდე, გიორგი, ანტონი და პიროსი, თბილისის ქართველი სამღვდლოების უმრავლესობა, დეპუტატები, ინტელიგენციისა და სამხედრო უწყების წარმომადგენლები, უცხოელი სტუმრები.

უამისწირვა ეპ.ლეონიდემ აღასრულა. მან „განიცადეზე“ წარმოთქვა სიტყვა და გამოთქვა იმედი, რომ ამიერიდან საქართველოს ეკლესია დაიწყებს ახალ ცხოვრებას, ავტოკეფალიურს და თავისუფალს. წირვის შემდეგ გალავანში გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი თვითმპყრობელობის დამხობის გამო, მოიხსენიეს საქართველოს უკანასკნელი მეფეები და პატრიარქები, უგალობეს „მრავალყამიერი“ ავტოკეფალიისათვის მსჯავრდებულებს, რომლებიც სინოდის მიერ გაძევებულნი იყვნენ სამშობლოდან. ბოლოს წაიკითხეს ოქმი, რომლის თანახმადაც 1) განახლდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მართვა-განმგებლობა; 2) გაუქმდა საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობა; 3) შეიქმნა, სასულიერო და საერო პირებისაგან, აღმასრულებელი კომიტეტი გურია-ოდიშის ეპისკოპოს ლეონიდეს (ოქროპირიძის) თავმჯდომარეობით; 4) ხსენებული მღვდელმთავარი დროებით, კათალიკოს-პატრიარქის კანონიერ საფუძველზე არჩევამდე, გამოცხადდა საქართველოს ეკლესიის საკეთმპყრობლად; 5) აღნიშნული დადგენილების ტექსტი გაეგზავნა რუსეთის დროებით მთავრობას პეტერბურგში. კერძოდ: მის თავმჯდომარეს — როდზიანკოს, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს — თავად ლვოვს და უწმიდესი სინოდის ობერპროკურორს. აგრეთვე — თბილისში კავკასიის კომისარიატს.

13 მარტს ეპ.ლეონიდემ ოფიციალურად მოახსენა ეგზარქოს პლატონს, რომ იგი, სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების გაწყვეტილების თანახმად, გადაყენებულია დაკავებული თანამდებობიდან; აღარა აქვს უფლება მართოს ეპარქიები, სასწავლებლები და დაწესებულებები საქართველოს საკათალიკოსოს საზღვრებში; საქართველოს ეკლესიის ყოველი საქმე და ფინანსები უნდა ჩააბაროს დროებითი აღმასრუ-



ლებელი კომიტეტის თავმჯდომარეს.

ამასთანავე: ეცნობა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ მართლმადიდებლებს, რომ 1) შეწყვიტონ ყოველგვარი დამოკიდებულება ნაევზარქოსალ პლატონთან მის კანცელარიასთან, კანტორასთან და ამ უწყებათაგან მიღებულ ქალაქზე პასუხი არ გასცენ; 2) თხოვნები და მოხსენებები გააგზავნონ კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, ანდა დროებითი მმართველობის სახელზე. მიმოწერა უნდა წარმოებდეს ქართულ ენაზე; 3) ღვთისმსახურების ჟამს მხოლოდ საქართველოს ეკლესიის მეთაური უნდა მოხსენიონ; 4) სიონის ტაძარში წირვა-ლოცვა აღევლინოს ქართულ ენაზე. იმ სამრევლოებში, რომლებშიც რუსები შედიან, დაჩქეს, ქართულთან ერთად, რუსული.

მთავარეპისკოპოსმა პლატონმა დატოვა საქართველო და გეზი მოსკოვისაკენ აიღო.

რუსეთის დროებითი მთავრობა და უწმიდესი სინოდი უარყოფითად შეხვდნენ ავტოკეფალიის აქტს, ოღონდ სხვადასხვა ფორმით გამოხატეს პროტესტი: სასულიერო უწყებამ უარყო მცხეთის საყდრის ავტოკეფალური უფლება, იმპერიის მემკვიდრე ხელისუფლებამ კი შედარებით რბილი პოზიცია დაიჭირა; დაადგინა: მიეცეს საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია არა ტერიტორიული, არამედ ეროვნული. ამ დადგენილების თანახმად, საქართველოს საპატრიარქოს მრევლად მხოლოდ ქართველები გამოცხადდნენ, სხვა ეროვნების მართლმადიდებლები, მცხოვრებნი საქართველოში, დარჩნენ რუსეთის ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ. მათთვის უწმიდესმა სინოდმა შექმნა ამიერკავკასიის სამიტროპოლიტო ეპარქია, ხოლო მართლმადიდებელი ქართველების დიდი ნაწილი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჭეშმარიტი რჯულისაგან განდრეკილად გამოაცხადა. ამრიგად, ექსპერიმენტი, რასაც ერთი წლის წინ აფხაზეთში მიმართავდნენ, სრულიად საქართველოზეც განავრცეს.

აღნიშნული დადგენილება საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ მიიჩნია ანტიკანონიკურად და გამოაცხადა პროტესტი; უწოდა მას უპრეცედენტო და მოითხოვა ტერიტორიული ავტოკეფალიის აღიარება. თუმცა გარკვეული კომპრომისიც დაუშვა: როგორც დროებითი მმართველობის 29 მარტის კრების აქტიდან ჩანს, დათანხმდა საქართველოში მცხოვრები რუსებისათვის ავტონომიური ეპისკოპოსის დანიშვნას, რომელიც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს უნდა დამორჩილებოდა (ე.ნიკოლაძე, დას. წიგნი, გვ. 234).

1917 წლის აპრილში რუსეთის დროებითმა მთავრობამ პრობლემების გადასაჭრელად და ამიერკავკასიის რუსების ინტერესთა დასაცავად საქართველოში მოავლინა

პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ვლადიმერ ბენეშევიჩი. მან რამდენიმე თვე დაყო თბილისში. მისი ზეგავლენით შეიმუშავეს პროექტი — „ძირითადი დებულებანი საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობისა რუსეთის სახელმწიფოში“, რომელიც დასამტკიცებლად გადაეგზავნა რუსეთის დროებით მთავრობასა და უწყმიდეს სინოდს. პროექტი შეიცავდა „დამატებას“, სადაც ნათქვამი იყო, რომ საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა იძულებულია გაუწიოს ანგარიში რუსეთის მთავრობის სურვილს საქართველოს ეკლესიის ეროვნულ ეკლესიად ცნობის თაობაზე, თუმცა „თავის მხრივ არავითარ პასუხისმგებლობას არ კისრულობს ისტორიისა და მსოფლიო ეკლესიის მსჯავრის წინაშე ამ ანტიკანონიკურ პრინციპის შემოტანისათვის, რომელიც შეერთებულია მრავალს პრაქტიკულის ხასიათის უხერხულობასთან და თანაც სანქციას აძლევს მართლმადიდებლობითის ეკლესიის მიერ უარყოფილ ფილეთიზმს“ (ანეკოლაძე, დას. წიგ, გვ. 239).

დროებითმა მთავრობამ, აღნიშნული „დანართის“ მიუხედავად, პროექტი დაამტკიცა. უწყმიდესმა სინოდმა მისი განხილვაც არ ისურვა, რადგან საქართველოს ეკლესიის იერარქია მადლობოკლებულად გამოაცხადა და მორწმუნეებს მოუწოდა: არ მიეწვიათ ქართული „ატოკფალისტი“ მღვდლები არავითარ მღვდელმსახურებაში, არ მიეღოთ მათგან ლოცვა-კურთხევა, არ შესულიყვნენ „ქართულ ეკლესიებში“, თორემ „უსათუოდ მოხვდებოდნენ ჯოჯოხეთში“ (კ-პ კალისტრატე ცინცაძე, საქართველოს ეკლესიის ატოკფალიისათვის, 1944, გვ.5. რემინგტონზე). ნაეგზარქოსალმა პლატონმა (უნდა ისიც ითქვას, რომ იგი დიდად აფასებდა ქართულ კულტურას) მოსკოვის საეკლესიო კრებაზე განაცხადა: ქართველები გადაუდგნენო მართლმადიდებლობას. ამჟვე კრებამ 1917 წლის 14 ივლისის სხდომაზე შეიმუშავა და მოიწონა „დროებითი წესები კავკასიაში რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მოწყობასათვის“ („Церк. Вед“. 1917, №30). ამ დოკუმენტის თანახმად, თბილისში, ძველ სამიტროპოლიტო ქალაქში, უნდა დაარსებულიყო მეორე სამიტროპოლიტო კათედრა ამიერკავკასიის რუსულენოვანი მრევლისათვის. ამით კი დაირღვეოდა I მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონი: „რათა არა იყვნენ ორნი ეპისკოპოსნი ერთსა ქალაქსა შინა“. ალბათ ამის გამო არ დაუშვა უფალმა ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა: ნაეგზარქოსალი პლატონი, რომელიც ამიერკავკასიის მიტროპოლიტად გამოცხადდა, საქართველოში აღარ დაბრუნებულა. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის გადაწყვეტილებით თბილისის მიტროპოლიტად 1917 წლის 15 აგვისტოს ხელდასხმულ იქნა კათალიკოს-პა-

ტრიაქის მოსაყდრე ეპისკოპოსი ლეონიდე.

საქართველოს ეკლესიის კონსტიტუციის შემუშავება და კათალიკოს-პატრიარქის არჩევა სრულმასშტაბიანი საეკლესიო კრების კომპეტენცია იყო. დაიწყო მზადება: 1917 წლის აგვისტოს დაძლევა და სექტემბრის დასაწყისში მიმდინარეობდა კამპანია სრულიად საქართველოს პირველი საეკლესიო კრების დელეგატთა ასარჩევად. თითოეული ოლქი ირჩევდა ოთხ დელეგატს, ერთ მღვდელს, ერთ დიაკონს ან მედავითნეს და ორ ერისკაცს. კრება შედგა: 8 სექტემბერს სიონის ტაძარში შეიკრიბა 600-მდე დეპუტატი. ლიტურგია მიტროპოლიტმა ლეონიდემ აღასრულა. მანვე წაიკითხა გუჯარი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ. მიულოცა ეს ფაქტი საზოგადოებას და კრება გახსნილად გამოაცხადა. სხდომები 17 სექტემბრამდე გაგრძელდა. მოვიდა მისალოცი დეპეშები სხვადასხვა ორგანიზაციიდან. სიხარულს გამოხატავდნენ აფხაზები, ოსები, რუსები და, რაც ნიშანდობლივია, მუსლიმანები. წაიკითხეს ქართველი ხალხის ცნობილი მეგობრის ნიკოლოზ დურნოვოს წერილი, რომელშიც იგი გამოთქვამდა საქართველოს პოლიტიკურად გათავისუფლების სურვილს 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე. კრებას გამოეხმაურა უწმიდესი სინოდიც: ობერპროკურორ კარტაშევის დეპეშის პირველი ნაწილი შეიცავდა მილოცვას, მეორე — მუქარას. მოუწოდებდა თავშეკავებისაკენ. იუწყებოდა, როს საქართველოს ეკლესიის საკითხის მოსაწესრიგებლად პეტერბურგში იქმნება საგანგებო კომისია, სადაც ქართველებისათვის გამოყოფილია სამი ადგილი; ელოდებიან დეპუტაციას თბილისიდან.

კრებაზე დაამტკიცეს საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულებები, რომლის თანახმადაც საქართველოს ეკლესიის უზენაესი ორგანოა საეკლესიო კრება. საკრებათმორისო პერიოდში კი — კათალიკოს-პატრიარქი, რომელსაც ირჩევს საეკლესიო კრება ფარული კენჭისყრით. კათალიკოს-პატრიარქი ეკლესიას მართავს საკათალიკოსო საბჭოსთან ერთად. საკათალიკოსო საბჭო შედგება 15 წევრისაგან. ესენია: კათალიკოს-პატრიარქი, ორი ეპისკოპოსი და როგორც სამღვდლო, ისე საერო პირები. ესაა მუდმივმოქმედი და სტაციონალური ორგანო (განსხვავებით უწმიდესი სინოდისაგან, რომელიც საჭიროებისამებრ იკრიბება). საკათალიკოსო საბჭო არჩევითი ორგანოა: მის წევრებს ირჩევენ ოთხი წლის ვადით, მაგრამ, გარდა არჩეულებისა, მის მუდმივ და პასუხისმგებელ პირებად ითვლებიან მღვდელმთავრები, ე.ი. — უწმიდესი სინოდის სრული შემადგენლობა.

აღნიშნული დებულებების მიხედვით მოეწყო კათალიკოს-პატრიარქის არჩევა. კენჭს იყრიდა ორი კანდიდატი: მიტროპოლიტი ლეონიდე და ეპისკოპოსი კირიონი.

უკანასკნელი კრების პირველ სხდომებს არ დასწრებია. იგი სამშობლოში დაბრუნდა 1917 წლის ივნისში. არაგვის ხეობაში მას ასოცამდე ცხენოსანი შეგებებია ვიგო ყარანგოზიშვილის ხელმძღვანელობით, — ეროვნული დროშებით, ბაირალებით და პიშნით. თუმცა ამ ფაქტს ყველა როდი მისაღმებია (შდრ. ს. ვარდოსანიძე, კირიონ II, ოზურგეთი, 1994, გვ. 19). უნდა ვიფიქროთ, რომ ოპოზიციონერები მის ჩრდილში მოქცევას ლამობდნენ და კრების მუშაობაში აქტიური მონაწილეობის საშუალებას არ აძლევდნენ. ამიტომაც ებ. კირიონი სხდომებს მოგვიანებით შეუერთდა.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის არჩევის პროცესი შედგა სიონის საკათედრო ტაძარში 17 სექტემბერს კანდიდატების დაუსწრებლად. 11 ხმის უპირატესობით გაიმარჯვა კირიონმა. იგი აღასაყდრეს სვეტიცხოველში 1 ოქტომბერს, საუფლო კვართისა და ცხოველყოფელი სვეტის ხსენების დღეს, შთამბეჭდავი წეს-განგებით და სიხარულით. ახლადდგინებულმა მწყემსმთავარმა, ძველი ტრადიციისამებრ, მოკითხვის ბარათები გაუგზავნა აღმოსავლეთის პატრიარქებს, რომის პაპსა და სომეხთა პატრიარქ-კათალიკოსს (ე. „სვეტიცხოველი“, 1917, №4). პირველი ჯილდო, მშობლიური ეკლესიის წინაშე განსაკუთრებული ამაგის გამო, გადასცა დეკ. კორნელი კეკელიძეს. — შემოსა მიტრით...

ამრიგად, ივერიის ძველთუძველესი საყდარი თავდადებულ იქმნა 107 წლის ქრისტიანობის შემდეგ.

ამასთანავე: გამოიკვეთა საეკლესიო ცხოვრების განახლებისა და რეფორმაციის ტენდენცია. მხედველობაში გვაქვს შემდეგი: საეკლესიო მმართველობაში საერო პირების როლის გაზრდა, რასაც ცხადყოფს „საკათალიკოსო საბჭოს“ სტრუქტურა და თუნდაც ის ფაქტი, რომ კრების სხდომებს ერისკაცები, ცნობილი საზოგადო მოღვაწენი: გიორგი ყურული, ტრიფონ ჯაფარიძე და სპირიდონ კეღია უძღვებოდნენ; ეკუმენური სულისკვეთება: კეთილშობილური და ლოიალური დამოკიდებულება სხვა კონფესიებთან; საეკლესიო ცხოვრების გათანამედროვეების სურვილი: 16 სექტემბრის სხდომაზე მოისმინეს ცნობილი პროფესორის დეკ. კ. კეკელიძის მოხსენებები 1) წირვა-ლოცვის შემოკლების, 2) სამღვდლო და საღმრთო წიგნების მხედრული ანბანით ბეჭდვის, 3) თეთრი სამღვდლოების გაპარსვისა და 4) ერში ანაფორის გარეშე სიარულის შესახებ, რასაც საეკლესიო კრებამ დასტური მისცა (ენიკოლაძე, დას. წიგნი, გვ. 240). საყურადღებოა ისიც, რომ დღეგატა უმრავლესობას საუკეთესო სახელმწიფოებრივ ფორმად თურმე არა მონარქია, არამედ დემოკრატიული რესპუბ-



ლიკა მიანდა (ე.ჩხაიძე, საეკლესიო რეფორმა, გაზ. „სახალხლ საქმე“, 1920, 26.VI, №860).

მოვლენები რუსეთის იმპერიაში დრამატულად განვითარდა: 7 ნოემბერს (ახ. სტილით) მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება. გაბატონდა პანათეისტური პარტია. დაიწყო ეკლესიისა და სარწმუნოების ტოტალური რბევა და აწიოკება. ასეთ ვითარებაში, 1917-1918 წლების მიჯნაზე, მოსკოვში ჩატარდა სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება, რომელმაც აღადგინა პატრიარქის ინსტიტუტი. ამ პოსტზე 4-5 ნოემბერს აირჩიეს და აღასაყდრეს მოსკოვის მიტროპოლიტი ტიხონი (†1925). მან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისადმი ძირითადად უშშიდესი სინოდის პოზიცია შეინარჩუნა, რაც გამოიხატა ეპისტოლეში „სქართველოს ეპისკოპოსების მიმართ“, რომელიც დათარიღებულია 1917 წლის 1 დეკემბრით („Церк. Ведомость“, 1918, 31.I, №3-4, გვ. 13-18). იქ ისტორიული ფაქტები წარმოდგენილია არასწორად და გამოტანილია სრულიად საქართველოს პირველი საეკლესიო კრების ძირითადი დადგენილების — ავტოკეფალიის საწინააღმდეგო დასკვნა. ცხადია, ეს რუსეთის საეკლესიო კრების აზრიც იყო. ამ კრებას ესწრებოდნენ აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელი პატრიარქები, ანდა საპატრიარქოთა წარმომადგენლები (საქართველოს ეკლესია არ მიუწვევიათ). ისინი, ბუნებრივია, მასპინძელთა აზრს ანგარიშს უწევდნენ და ამითაც უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ კათალიკოს-პატრიარქ კირიონის ზემოაღნიშნულმა „მოკითხვის ბარათებმა“ ადრესატთა შორის (რომის პაპის გარდა) შესაფერი გამოხმაურება ვერ ჰპოვა.

ასე რომ, იმხანად საქართველოს ეკლესიის საერთაშორისო მდგომარეობა არასახარბიელო იყო.

ვერც ქვეყნის შიგნით განვითარდა მოვლენები სასურველი გზით: 1919 წლის თებერვალში ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ე.წ. მენშევიკურმა ფრთამ, რომელიც ათეისტურ პოზიციაზე იდგა. უფრო ადრე, 1918 წლის 26 მაისს, წმ. ექვთიმე ათონელის ხსენების დღეს (ახ.სტ.), საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ამ ფაქტს მიესალმა საკათალიკოსო საბჭო. კათალიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ყველა ეკლესიაში აღავლინეს სამადლობელ-სავედრებელი ლოცვები, მაგრამ სიხარულს მალე შეეპარა ბზარი: გამოაშკარავდა ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესიისაგან გამოყოფის კურსი, რაც რეალურად ანტისარწმუნოებრივ ხასიათს



ატარებდა და ეკლესიის სექტად გადაქცევას ისახავდა მიზნად.

წინააღმდეგობამ საკათალიკოსოს სტრუქტურებშიც იჩინა თავი. თბილელი მიტროპოლიტის კათედრა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის დადგინების შემდეგაც ხელუხლებელი დარჩა. უკანასკნელის რეზიდენციაც თბილისში იყო, რაც სერიოზულ უხერხულობას ქმნიდა: ერთსა და იმავე ქალაქს ორი ეპისკოპოსი განაგებდა, რაც საეკლესიო კანონების თანახმად, როგორც აღვნიშნეთ, დაუშვებელია. შედეგმაც არ დააყოვნა: მიტროპოლიტსა და კათალიკოსს შორის მალე უთანხმოებამ იჩინა თავი, რაზეც, სხვათა შორის, მიგვანიშნებდა შემდეგი: პირველი სიონში სწირავდა, მეორე — ანჩისხატში. იძაბებოდა ურთიერთობა ხელისუფლებასთან, ძნელდებოდა წესრიგის დამყარება საეკლესიო ცხოვრებაში, რაც პატრიარქის სულიერ ტკივილს იწვევდა. ტკივილი კრიზისში გადადიოდა. იგი ქვეყნის საერთო კრიზისის კერძო გამოვლინება იყო, რაც კატასტროფით დამთავრდა: 1918 წლის 27 ივნისს, დღით, უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ მეორე თავის საზაფხულო რეზიდენციაში, მარტყოფში, საძინებელ ოთახში, განგმირული იპოვეს. სასთუმალთან დაკეტილი რევოლვერი იდო. პატრიარქი დაკრძალეს 7 ივლისს სიონის ტაძარში. გამოძიებამ დასკვნა ვერ გამოიტანა. მარტყოფის ტრაგედიას დღემდე არ ახდია ფარდა.

სამოციქულო საყდარი 1919 წლის 23 თებერვალს თბილელმა მიტროპოლიტმა დაიკავა. მის წინაშე იდგა გლობალური პრობლემები. განსაკუთრებით, — საარსებო რესურსების შოვნა, რაც დღის წესრიგში დააყენა საერთო ეკონომიკურმა კრიზისმა და, პლიუს ამას — ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის ფაქტმა. აიკრძალა სახელმწიფო ხაზინიდან „სარწმუნოებრივი კულტისათვის“ ნებისმიერი ხარჯის გაღება. ეკლესიას მხოლოდ საკუთარი ძალებით უნდა შეენახა თავი. იგულისხმებოდა: სამრევლო გადასახადი და შეწირულობანი (დეკ. კ. ცინცაძე, რა საშუალებით უნდა დაკმაყოფილდეს საქართველოს ეკლესიის საჭიროებანი? გაზ. „საქართველო“, 1920, I. IV, №70), რაც მოთხოვნილებებს მინიმალურადაც კი ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ შეუძლებელი გახდა სასულიერო სასწავლებლებისა და სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების შენახვა. 1918 წელს გაუქმდა სასულიერო სემინარია. მის შენობაში (ახლანდელი მე-9 საავადმყოფო) ბინა დაიღო გომნაზიამ. საკათალიკოსო საბჭო ვარაუდობდა, რომ გომნაზიაში გაიხსენებოდა სექტორი, სადაც მოამზადდებდნენ მღვდელმსახურებს, მაგრამ იმედი არ გამართლდა...

სწორედ საშინაო პრობლემებისა და სახელმწიფოსთან ურთიერთობის მოგვარე-

ბას ისახავდა მიზნად სრულიად საქართველოს მეორე საეკლესიო კრება, რომელიც შედგა 1920 წლის 27 ივნისს დედაქალაქში.

ვფიქრობ, მკითხველები ყურადღებას მიაქცევდნენ შემდეგ ფაქტს: საქართველოს ეკლესიის მამათმთავარს აღნიშნულ შემთხვევაში თანამდებობა უზენაესი განაწესის მიხედვით არ დაუკავებია, რასაც ცხადყოფს საკათალიკოსო სასამართლოს 1919 წლის 16 თებერვლის თათბირის რეზოლუცია: სასამართლო ესალმება რა კათალიკოს-პატრიარქად თბილელი მიტროპოლიტის — ლეონიდეს — დანიშვნას, საჭიროდ თვლის განაცხადოს, რომ „თვით წესი კათალიკოსის ამორჩევისა არ ეთანხმება სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების მიერ დამტკიცებულს დებულებას და ვერც გამართლდება თუნდაც არსებულ პოლიტიკურ პირობებში და გამოთქვამს იმედს, რომ მომავალში დებულების მოთხოვნილებანი სავსებით დაცული იქნება“ (გაზ. „საქართველო“, 1919, 23.II, №42). ამიტომ კრების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო საკათალიკოსო სინოდის მიერ უკვე გამორჩეული და ხელდასხმული კათალიკოს-პატრიარქის დამტკიცება. უფრო სწორად, — იურიდიული ხარვეზის გამოსწორება. ასეც მოხდა. კრებამ გააუქმა თბილისის სამიტროპოლიტო კათედრა, გააერთიანა მცხეთისა და თბილისის ეპარქიები და საქარველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეტმპყრობელს უწოდა „მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი“. განიხილეს ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის საკითხები, სასულიერო სასწავლებლების სამინისტროსადმი გადაცემის, ეკლესიის ბიუჯეტის, ახალ პირობებში სამღვდლო პირთა საყოფაცხოვრებო პრობლემები და სხვ.

მოუგვარებელი რჩებოდა განახლებული ავტოკეფალიის საერთაშორისო რატიფიკაციის საკითხი. თუმცა ამ მიმართულებით თვალსაჩინო ნაბიჯები გადაიდგა. პატრიარქ ტიხონის ზემოაღნიშნულ ეპისტოლეს საქართველოს ეკლესიის საჭეტმპყრობელმა დასაბუთებული პასუხი გასცა: საკათალიკოსო საბჭოს მინდობილობით დეკლარაციამ შეადგინა ვრცელი წერილი, რომელიც დათარიღებულია 1919 წლის 5 აგვისტოთი (გამოცემულია: Послание Святейшего Леониды, Католикоса-Патриарха всея Грузий, к Святейшему Тихону, Патриарху Московскому и всея России, Тиф., 1920. შტრ. ნ.პაპუაშვილი, კ.მ.ცინცაძის ცხოვრება და ჰეცნიერული მემკვიდრეობა, „მრავალთავი“, XIII, 1986, გვ. 105). მოუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი ეფუძნება ავთენტურ წყაროებს და მოიცავს მრავალ არგუმენტს, იმზნად მოძმე ეკლესიებს შორის ურთიერთობა არ გაუმჯობესებულა.

სამაგიეროდ გამოიკვეთა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან დაახლოების გზები და პერსპექტივები. 1917 წლის 27 აპრილს თბილისში შედგა სრულიად საქართველოს კათოლიკეთა კრება, რომელსაც დაესწრენ მიტრ. ლეონიდე, ეპ.პიროსი, ეპ.ანტონი და რამდენიმე მღვდელი. ისინი მიესალმნენ კრების გადაწყვეტილებას თბილისში სრულიად საქართველოს კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრის აღდგენის თაობაზე (გაზ. „საქართველო“, 1917, 29. IV, №92). 1919 წელს დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ვატიკანს შორის. პაპის რწმუნებულები — ანტუან დელუში და, შემდეგ, გაბრიელ ნატალე-მონერდო — საქართველოს კათოლიკური ეკლესიის მეთაურებად გამოცხადდნენ, რასაც, აგრეთვე, მიესალმა საკათალიკოსო საბჭო. კათალიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ წმიდა ტახტს ათეიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომა, მფარველობა და დახმარება სთხოვა რელიგიურ-ზნეობრივი თვალსაზრისით (იხ.მეცნიერული ათეიზმის ძირითადი საკითხები, თბ., 1964, გვ. 199—200).

ეს ფაქტი ობივატელებმა განახლებული ავტოკეფალიის კომპრომენტაციისათვის გამოიყენეს. გაავრცელეს ხმები: ქართველები ტაძრებში სკამების დადგმას და საორღანო მუსიკის შემოღებას აპირებენო; მოსკოვისაგან განდგომის შედეგად დაძაბუნებული ეკლესია ჭედს იხრის ვატიკანის წინაშე — კათოლიკდებაო; აფხაზეთის ეპარქიაში რუსულენოვან მრევლს ანგარიშს არ უწევენ და ავიწროებენო. ამასთანავე: თხზავდნენ და აქვეყნებდნენ ცრუ ეპისტოლეებს კონსტანტინოპოლისა და ანტიოქიის პატრიარქების სახელით, თითქოს უკანასკნელნი ურჩევდნენ ქართველებს რუსეთის პატრიარქისადმი მორჩილებას (იხ. დეკ. კ.ცინცაძის წერილი „К. Георгиевский“-ს ფსევდონიმით: По поводу архипастырского подлога, газ. „Грузия“, 1921, I. II, №5).

აღნიშნულის მიუხედავად, საერთაშორისო ასპარეზზე იმედის სხივი ჩანდა, მაგრამ ბორბალი უკუღმა დატრიალდა.

## მონობა და დევნილება

1921 წლის 25 თებერვალს თბილისში შემოვიდნენ ბოლშევიკური რუსეთის ჯარები. წინა ღამით დემოკრატიულმა მთავრობამ რეზიდენცია დატოვა და დასავლეთისკენ აიღო გეზი. ოკუპანტებს წინ თანამემამულე კომუნისტები მოუძღოდნენ. ამბობენ: ამ დროს კათალიკოს-პატრიარქი სიონის ტაძარში ვაზის ჯვარს ევედრებოდა,

თუ ჩემი ქვეყნის გადარჩენისათვის მსხვერპლია საჭირო, საკუთარი თავი მომიძღვნიო. მოხუც მღვდელმთავარს დიდხანს აღარ უცოცხლია: აღესრულა 1921 წლის 11 ივნისს.

საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოება ანტირელიგიური ისტერიის ქვეშ მიმდინარეობდა. დაიწყო ლაშქრობა ეკლესიის წინააღმდეგ, კულტმსახურთა და შორწმუნეთა დევნამ არნახულ მასშტაბს მიაღწია.

ამ ვითარებაში, 1921 წლის 1-5 სექტემბერს, დასავლეთ საქართველოს ძველ ქალაქში — გულათში — შედგა სრულიად საქართველოს III საეკლესიო კრება, რომელმაც კათალიკოს-პატრიარქად ამირჩიო და აღსაყდრა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი (ერში: ბესარიონ ხელაია). მან ცისა და ქვეყნის გასაგონად — სამშობლოსა და მის საზღვრებს გარეთ, ევროპაში, გენუის კონფერენციაზე — დაგმო ძალადობის ფაქტი, რის გამოც კონფერენტაცია საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის გაღრმავდა. შედეგმაც არ დააყოვნა და საქართველოს ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფურცელი გადაიშალა (ჩვენი ძირითადი წყაროა კ-პ კალისტრატე ცინცაძის პირადი საარქივო ფონდი და იმდროინდელი პრესა).

1923 წლის იანვრის პირველ რიცხვებში დააპატიმრეს კათალიკოს-პატრიარქი და საკათალიკოსო საბჭოს ყველა არჩეული წევრი (ე.ი. შტატის თანამშრომელი): დეკ. კ. ცინცაძე, დეკ. ი. მირიანაშვილი, დეკ. მ. ტყემალაძე, ნ. თავდგირიძე და არჩევანიძე მოგვიანებით — ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლუქავა), სვეტიცხოვლის არქიმანდრიტი პავლე (ჯაფარიძე), დეკ. დ. ლაზარიშვილი, დეკ. ა. თოთიბაძე და ბევრი თვალსაჩინო საეკლესიო თუ საერო მოღვაწე.

სარჩელი სამ ბრალდებას მოიცავდა: 1) გარეშე ძალის დახმარებით მთავრობის დამხობის მცდელობას და, ამდენად, სოციალისტური სამშობლოს ლალატს (ერცულად ვისაუბრებთ ქვემოთ); 2) საეკლესიო განძეულობის გადამალვას: 1921 წლის 24 თებერვალს, ტოტალური უწესრიგობის მოლოდინის ჟამს, კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს ბრძანებით ქუთაისში, საეპისკოპოსო სახლის სარდაფში, შთაფლეს საკათედრო ტაძრების ძვირფასეულობის ნაწილი, რაც შემდეგ, ანტირელიგიური კამპანიის გამო, არ აცნობეს საბჭოთა მთავრობას; 3) ურჩობას, რაც გამოიხატა შემდეგში: საგანგებო კომისარიატმა საკათალიკოსო საბჭოს წაუყენა წინადადება, დასწრებოდა, წარმომადგენლის სახით, თბილისის სამხედრო-საკრებულო ტაძრის არარელიგიური მიზნით გადაკეთების ოპერაციას, რაზეც ასეთი პასუხი მიიღო: ეკლესიის მმართველი ორგანო, ზნეობრივი მოსაზრების გამო, ვერ გაგზავნის რწმუნებულს იქ, სადაც ილანება მისი სინდისი. ხოლო ტაძრის წინამძღვარს, თუკი მორალი მისცემს უფლებას, შეუძლია დაესწროს წმიდათაწმიდა ტრაპეზის მოშლისა და დარღვევის ფაქტს.

ბრალდების უმთავრესი ობიექტი იყო მემორანდუმში ანუ მოხსენებითი ბარათი, რომელიც კათალიკოს-პატრიარქ ამბროსის ხელმოწერით 1922 წლის 7 თებერვალს გაეგზავნა გენუის კონფერენციას. წინასწარმა გამოძიებამ დაადასტურა, რომ აღნიშნული დოკუმენტის საბოლოო ვარიანტის ჩამოყალიბებაში მონაწილეობა მიიღეს

საკათალიკოსო საბჭოს წევრებმაც. „მოწოდება“ (ასე მოიხსენიებდა მას ხელისუფლება) საზღვარგარეთ გაიტანა დეკ. იასონ კაანაძემ (რომელიც დარჩა ემიგრაციაში და ცხოვრების ბოლო წლები შეერთებულ შტატებში გაატარა. მუშაობდა „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციაში). იმავე წლის მარტში მემორანდუმი მოათავსეს გენუის ერთ-ერთ გაზეთში, ხოლო აპრილში, როგორც დასაგმობი დოკუმენტი, გამოაქვეყნა საბჭოთა პრესამაც (შესაბამის ნომერს ჩვენ ჯერ-ჯერობით ვერ მივაგენით). ბოლო ოცი წლის განმავლობაში იგი რამდენიმეჯერ დაიბეჭდა. მეტადრე — საბჭოთა პერიოდის დისიდენტურ თვითგამოცემებში. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, უპრიანია, აქაც წარმოვადგინოთ:

„კულტურულ კაცობრიობას გენუის კონფერენციაზე წარმოადგენილს მონა ღვთისა ამბროსი,

სულიერი მწყემსი და პატრიარქი სრულიად საქართველოსა ქრისტეს მიერ სიყვარულით მოიკითხავს.

ჯერ კიდევ პრაქრისტიანულ ხანაში, კავკასიის ძირში, შავისა და კასპიის ზღვის შორის, ქართულ ტომთა მოდგმებმა შექმნეს პატარა სივრცით, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით და მდიდარი ნიჭით სახელმწიფო, რომელიც ცნობილია ისტორიაში საქართველოს სახელით და რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ერთადერთი მატარებელი იყო წინააზიაში ქრიატიანული კულტურისა და ევროპული ჰუმანიზმისა.

მეთვრამეტე საუკუნის გასულს, გარეშე მტრებთან ბრძოლაში ძალმიხდილი, ქართველი ერი ნებაყოფლობით მიეკედლა ერთმორწმუნე რუსეთს იმ იმედით, რომ მისი მფარველობის ქვეშ საქართველო უზრუნველყოფდა თავის პოლიტიკურსა და ეროვნულ არსებობას, რაიც აშკარად არის აღნიშნული 1783 წ. საქართველოს მეფის ერეკლე II და რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II შორის დადებულს პოლიტიკურ ტრაქტატში, მაგრამ გაცრუებულ იმედების ამართ დარჩენილი ჩემი სამშობლო 117 წლის განმავლობაში რუსეთის ბიუროკრატიისაგან განიცდიდა მხოლოდ დესპოტიასა და აუტანელ შევიწროებას. ამიტომ 1917 წელს, დაირღვა თუ არა რუსეთის იმპერიის ხელოვნური მთლიანობა, ქართველმა ერმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ხელი მოკიდა თავის პოლიტიკურ რესტავრაციას. მიუხედავად იმისა, რომ მას ამ მუშაობაში აფერხებდნენ შინაური და გარეშე მტრები, მან გამოიჩინა ისეთი ნიჭი და ეროვნულ-შემოქმედებითი ენერჯია, რომ სამი წლის შემდეგ განათლებულმა ევროპამ სცნო მისი სახელმწიფოებრივი უნარი და ადგილი უბოძა დამოუკიდებელ ერთეულთა შორის. რასაკვირველია, ამას ვერ შეურიგდებოდა მისი ბატონი, მცირე ერთა მჩაგვრელი, რუსეთი: მან დასძრა საქართველოს საზღვრებისაკენ საოკუპაციო არმია და 1921 წლის 26 თებერვალს უთანასწორო ბრძოლაში სისხლიდან დაცლილ პატარა საქართველოს ხელმეორეთ დაადა კისერზე ისეთი მძიმე და სამარცხვინო მონობის უღელი, რომლის მსგავსი მას არ განუცდია თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ოკუპანტები, მართალია, ცდილობენ ყველანი დაარწმუნონ, რომ მათ გაათავისუფლეს და გააბედნიერეს საქართველო, მაგრამ

თუ რა ბედნიერადა გრძნობს თავს ქართველი ერი, ეს ყველაზე უკეთ ვუწყი მე, მისმა სულიერმა მამამ და დღესდღეობით ერთადერთმა ნამდვილმა მოძღვარმა, რომლის ხელშია ამ ერის გულიდან გამოძვარი იღუმალი ძაფები და რომელსაც უშუალოდ ესმის მისი კენესა და ვაება. თამამად და გაუზვიადებლად ვამბობ, რომ ის ყოვლად შეუწყნარებელი ექსპერიმენტები, რომელსაც ამ უკანასკნელ წლებში ახდენენ ქართველი ერის ზურგზე, აუცილებლად მიიყვანს ფიზიკურად გადაშენებისა და სულიერად გავერანების კარამდე; ერს ართმევენ მამა-პაპათა სისხლითა და ძვლებით გააოხიერებულ მიწა-წყალს, რომელსაც უცხოეთიდან შემოიხიზნულთ ურიგებენ: მათი წყალობით ისედაც გალატაკებულ ერს პირიდან ჰგლეჩენ მისი სისხლითა და ოფლით შორეწილ სარჩოს და გაუგებარის სიჩქარით იმავე უცხოეთში მიეზიდებიან; ერს უგმობენ და ართმევენ მშობლიურ ენას, მას უბილწავენ ეროვნულ კულტურას. დასასრულ, მას უბღალავენ წმიდათაწმიდას — სარწმუნოებრივ გრძნობას და სინდისის თავისუფლების დროშის ქვეშ, ნებას არ აძლევენ თავისუფლად დაიკმაყოფილონ რელიგიური მოთხოვნილება. მისი საძვლევლოება უკიდურესად დევნილია, მისი ეკლესია — ეს ძველისძველი ფაქტორი საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმავლობისა და ძლიერებისა — დღეს უფლებააყრილია იმდენად, რომ ნებაც არა აქვს თავისი შრომით, გარჯით და უნარით მოიპოვოს მუდმივი სარჩო არსებობისა. ერი კენესის, ერი გმინავს, მაგრამ საშუალება არა აქვს ხმის ამაღლებისა.

ამ პირობებში ჩემს მწყემსმთავრულ მოვალეობად ვრაცხ, კულტურული კაცობრიობის გასაგონად ვთქვამ, როგორც ეკლესიის წარმომადგენელი, არ შევდივარ პოლიტიკური ცხოვრების რეგლამენტაციაში, მაგრამ არ შემიძლია არ ვისურვო ჩემი ერისათვის ისეთი წყობილება, რომელიც შედარებით უფრო შეუწყობს ხელს მის ფიზიკურ აღორძინებას და კულტურულ განვითარებას. ამიტომ ვითხოვ: 1) დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნეს საქართველოს საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო ჩარი და უზრუნველყოფილ იქმნეს მისი მიწა-წყალი უცხოელთა თარეშისაგან; 2) საშუალება მიეცეს ქართველ ერს თვითონ, სხვათა ძალდაუტანებლივ და უკარნახოთ, მოაწყოს თავისი თავი ისე, როგორც ეს მას უნდა; შეიმუშაოს ისეთი ფორმები სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისა, როგორც მის ფსიქიკას, სულისკვეთებას, ზნე-ჩვეულებებს და ეროვნულ კულტურას შეესაბამება.

სრული იმედი მაქვს, რომ მაღალპატივცემული კონფერენცია, რომელსაც მიზნად დაუსახავს გაარკვიოს უდიდესი პრობლემები კაცობრიობის ცხოვრებისა და დაამყაროს ქვეყანაწე სამართლიანობა და თავისუფლება, არ უგულებელყოფს პატარა საქართველოს ელემენტარულ მოთხოვნას, დღეს ჩემი პირით წარმოთქმულს, და დაიხსნის მას ძალმომრეობისა და სამარცხვინო მონობის კლანჭებიდან.

კურთხევა უფლისა იყოს თქვენ ზედა და თქვენს კეთილშობილურ მისწრაფებებსა და მუშაობაზე.

მდაბალი ამბროსი,

პატრიარქი სრულიად საქართველოსი.

1922 წ. 7 თებერვალი. თბილისი“.

საქართველოს სსრ უზენაესმა სასამართლომ 1924 წლის 10—19 მარტს საჯარო სხდომებზე განიხილა აღნიშნული საქმე. პროცესს ყოველდღიურად ამუშავებდა პრესა: „კომუნისტი“, „მუშა“, „პრავდა გრუზია“. თხზავდნენ და აჭკვევდნენ პატივმოყვარეობის, კარიკატურებს. რევოლუციონერი მუშები „ბნელეთის მოციქულთა“, „მოღალატეთა“, „ხალხის მტერთა“ და „კონტრრევოლუციონერთა“ დახვრეტას მოითხოვდნენ. აწყობდნენ კრებებს, დემონსტრაციებს. იდგნენ სასამართლოს წინ და ყვიროდნენ: „ძირს ამბროსი!“, „ძირს რევოლუციის შენიღბული მტრები!“. იგზავნებოდა ინფორმაციები ევროპაში. შემფოთებული იყო ქართველი ინტელიგენცია. ნადეკანოზარი პროფესორი კ.კეკელიძე, რომელიც 1923 წელს ჩამოშორდა საკათალიკოსო საბჭოს, სხდომებს ესწრებოდა როგორც ექსპერტი და პატრიარქის პოლიტიკურ ნაბიჯს საეკლესიო ისტორიიდან ანალოგიების მოშველიებით ხსნიდა.

დამნაშავედ თავი არცერთმა ბრალდებულმა არ სცნო. მაგალითად, შეკითხვაზე: „მთავრობამ რომ გამოსცემ ღვთის ნებისა და სინდისის — როგორც თქვენ გესმით ეს — საწინააღმდეგო კანონები, შეასრულებთ მას?“ დეკანოზმა კ.კინცაძემ უპასუხა: „... მოკრძალებით და პატივისცემით მოვახსენებ მთავრობას, თუ რატომ ვერ (და არა „არ“) ვასრულებ მის მიერ გამოცემულ კანონს და ვთხოვ, გამათავისუფლოს ამ კანონის შესრულებისაგან. თუ მთავრობა შეიწყნარებს ჩემს თხოვნას, ხომ კარგი, თუ არა და განვეშადები ჯვარზედ საცმელად“. მართალია, როგორც აღნიშნულია სასამართლოს განაჩენში (იხ. ქვ.), კათალიკოსმა გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმით მიმართვას შეცდომა უწოდა; აღიარა, რომ წერილმა მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ შექმნილ პირობებში მას, ერის სულიერ მამას, არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო და, დამსწრე საზოგადოების მოწმობის თანახმად, დასძინა: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული — საქართველოს, ხოლო ღეშს — რაც გსურთ, ის უყავითო“. „საბოლოო სიტყვის“ წერილობითი ვარიანტი (იხ. „მნათობი“, 1988, №10, გვ.148-161) საყურადღებოა მრავალი ასპექტით; ასაჩინოებს ავტორის სულიერ სიღრმეს, სიმტკიცეს, ტაქტს, განათლებასა და, რაც მთავარია, დიპლომატიას.

სასამართლოს განაჩენში ვკითხულობთ: „...ბოროტმოქმედება გათვალისწინებული სისხლის სამ.კოდ. 60-ე მუხლით, რაიც მოითხოვს უმაღლეს სასჯელს — სიკვდილით დასჯას — უნდა ჩაითვალოს სავსებით დამტკიცებულად. მაგრამ სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში კ-პ ამბროსის და აგრეთვე საკათალიკოსო საბჭოს სამართალში მიცემულ წევრთა, პირველი — ღრმა მოხუცებულობა, მეორე — მათ მიერ საბჭოთა ხელისუფლების გადაჭრით ცნობა, მესამე — ბრალდებულ ხელაიას მიერ თავის გენუის კონფერენციისადმი მემორანდუმით მიმართვის შეცდომად აღიარება და მეოთხე — ის გარემოება, რომ ისინი საქართველოს მშრომელთა მასებში არ სარგებლობენ არავითარი ნდობით, დაადგინა... ბრალდებულ კ-პ ამბროსის მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა ცხრა წლით, სასტიკი იზოლაციითა და ყოველი მისი ქონების კონფისკაციით...“ დანარჩენებს 3-4 წლით პატიმრობა განუწესეს („კომუნისტი“, 1924, 21.III,



№65; „მუშა“, 1924, 21. III, №4). სასჯელს მეტეხის ციხეში იხდიდნენ. საკავშირო მთავრობის დადგენილებით ისინი ვადამდე გაათავისუფლეს, 1925 წლის 8 მარტს.

მოხუცებს კიდევ ახსოვთ კათალიკოსის ციხიდან გამოსვლის დღე: მან პირველად სიონის ტაძარს მიაკითხა. ხალიჩა გაუფინეს. სკამი მიართვეს. დაიხოქეს. „საქართველო ურყევი ლერწამიაო“ — უთქვამს.

მდგომარეობა კრიზისული იყო.

ვერ მოგვარდა საგარეო პრობლემები. „უფროსი დის“ — რუსეთის — კვალს მიჰყვებოდნენ აღმოსავლეთის საპატრიარქოები. თვლიდნენ, რომ ქართველებმა ისარგებლეს იმპერიის „ავადმყოფობით“ (ე.ი. გაკომუნისტებით) და, უმადური შვილების მსგავსად, ხელი აღმართეს მასზე. მათ არ მიიწვიეს საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლობა 1926 წლისათვის დანიშნულ მერვე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (რომელიც ვერ შედგა). მაშინ საკათალიკოსო საბჭომ თვით მიმართა კონსტანტინოპოლის ყოვლადუწმიდეს პატრიარქს ძმური ეპისტოლეთი, რომლის ტექსტი, ამგერადაც, კალისტრატე ცინცაძემ (უკვე მიტროპოლიტად პატივდებულმა) დაწერა.

ეპისტოლე გვამცნობს, რომ საქართველოს ეკლესია, „უცნობ მიზეზთა გამო, არ იქნა შერაცხილ ჩინებულთა შორის, რომელნიც მიწოდებულ არიან მართლმადიდებელი ეკლესიის ქორწილსა ზედა (მათე 22, 2-3) მსოფლიო კრებაზე“. ეს დოკუმენტი ლაღადებდა მძიმე აწმყოზე და დასძინდა: „აღმოსავლეთის პატრიარქთა მღუმარებამ და საქართველოს უძველესი ეკლესიის მიმართ უყურადღებობამ კანნიერყო შფოთვისა, მძულვარებისა და ურთიერთზე ამხედრების მოყვარენი... არა გვსურს ვიფიქროთ, რომ ეს მღუმარება გამოწვეულია ამა მსოფლიო მოსაზრებით: პატარა ერის ეკლესიური ინტერესები მსხვერპლად შეეწიროს დიდი ერის ეკლესიურ მეგობრობასა და კეთილგანწყობილებას. უღრმესი პატივისცემით გაცნობებთ რა ზემოაღნიშნულს მსოფლიო კრებისათვის მოსახსენებლად, სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭო გამოთქვამს სრულს იმედს, რომ თქვენი ყოვლადუწმიდესობა, აღძრული ეკლესიური ჭეშმარიტების ძიებით, აღადგენს, დანარჩენ მართლმადიდებელ ეკლესიასთა საკეთმპყრობლებთან ერთად, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან ძველს ურთიერთობას, ესე იგი ისეთს, როგორიც სუფევდა ჩვენს შორის მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე. ხოლო, თუ თქვენი ყოვლადუწმიდესობა დასტოვებს ჩვენს თხოვნას უყურადღებოდ და არ შეუწყობს ხელს საქართველოს ეკლესიის საკუთარის თავითა და მის საქმეებში სხვა ეკლესიის ჩაურევნელად წინსვლას, მაშინ ჩვენი ეკლესია იძულებული იქნება, დაიცვას თავის წიაღში ჭეშმარიტი მართლმადიდებლობა და კანონიკური ნორმები იმ წესითა და იმ საშუალებებით, რომელსაც თვით დაინახავს საჭიროდ და მიზანშეწონილად, მით უმეტეს, რომ საქართველოს რესპუბლიკაში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და უკანასკნელი არ ერევა მის შინაურ საქმეებში. ხოლო ზნეობრივ პასუხისმგებლად მისი განცალკევებისა ის ჩათვლის აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიებს, რომელთაც არ მოისურვებს კანონიკური ჭეშმარიტების აღიარება და უკანონო პრეტენზიე-

ბის მხილება“.

ადრესატის პასუხი ჩვენთვის ცნობილი არაა.

დაიძაბა ვითარება ქვეყნის შიგნით: 1924 წლის 28-29 აგვისტოს საქართველოში ანტისაბჭოთა აჯანყებამ იფეთქა. ეს იყო საყოველთაო-სახალხო მღელვარება, რომელიც კომუნისტურმა მთავრობამ სისხლში ჩააღრჩო. ამბოხებულთა გვერდით სასულიერო პირებიც იდგნენ. მათგან არაერთმა იწვინა ტყვია და საპყრობილე. მოწამებრივად აღესრულა ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი (ლუქავა).

ანტირელიგიური კამპანია აღბორვდა, რასაც სამღვდლოების ნაწილი საკათალიკოსო საბჭოს ანტიკომუნისტურ კურსს უკავშირებდა და აქედან გამომდინარე, მოითხოვდა სოციალისტურ სინამდვილესთან ეკლესიის დამოკიდებულების ლიბერალიზაციას. ასე ჩამოყალიბდა, კულტმსახურთა შორის, პროსაბჭოური მიმართულება. უფრო რბილად რომ ვთქვათ, — „მუშათა და გლეხთა სახელმწიფოსადმი“ ლოიალურად განწყობილი სამღვდლოება. კათალიკოს ამბროსის „საბოლოო სიტყვიდან“ ირკვევა, რომ ამგვარი საზოგადოება საქართველოს ეკლესიაში, რუსეთის მსგავსად, გასაბჭოების პირველსავე წლებში გაჩენილა ხელოსუფლების წაქეზებითა თუ ინსპირაციით. მას „ცხოველ ეკლესიას“ ეძახდნენ. მიზანი ბოლშევიკების გულის მოგება იყო.

„ცხოველ ეკლესიას“ ჩვენი ეპისკოპოსი ქრისტეფორე ციციქიშვილი თავკაცობდა. იგი უწმიდესი ამბროსის პატიმრობის დროს, 1923 წლის 12 იანვრიდან 1925 წლის 8 მარტამდე, ასრულებდა კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრის მოვალეობას. მიწვეული იყო სასამართლო პროცესზე, სადაც დაემო ბრალდებულთა საზოგადოებრივი მრწამსი და პოზიცია სამღვდლო პირთა პოლიტიკაში ჩაურევლობის მოტივით. არაერთგზის აღუთქვა მთავრობას ერთგულება და, ებ.დავითთან (კაჭახიძესთან) რთად, ჩამოაყალიბა კათალიკოს-პატრიარქის ოპოზიცია.

ამრიგად, საქართველოს ეკლესიის წიაღში პარტიკულარიზმმა იჩინა თავი, რის კულმინაციად უნდა ჩაითვალოს ქუთაისის ხეკლესიო ყრილობა 1926 წლის 26-27 დეკემბერს. დელეგატებმა, რომლებიც ხსენებული იერარქების — ქრისტეფორესა და დავითის — მიწვეულები იყვნენ, ჩვენი ქვეყნის ყველა უბედურების მიზეზად კათალიკოსისა და მისი საბჭოს ანტიკომუნისტური პლატფორმა გამოაცხადეს. მათი თვალსაზრისები არეკლილია ეპისტოლეში „სრულიად საქართველოს ეკლესიის მორწმუნეთა მიმართ“, რომელსაც ბროშურის სახით ავრცელებდნენ ყრილობის შემდეგ.

აღნიშნული დოკუმენტის ძირითადი სათქმელი შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ასე: საქართველოს ეკლესია კრიზისს განიცდის. მიზეზი მრავალია: გარეგანიც და შინაგანიც. უკანასკნელში იგულისხმება საკათალიკოსო საბჭოს „უგუნური და მოუფიქრებელი“ საქციელი, ე.ი. არსებული რეჟიმის საწინააღმდეგო კურსი, რამაც საბჭოთა მთავრობის უკუერეაქცია — რისხვა და შურისძიება განაპირობა. სოციალიზმი ქრისტიანებისათვის სანატრელი ფორმაციაა, რადგან მიზნად ისახავს ექსპლუატაციის ლიკვიდაციასა და თანასწორობას. მხოლოდ ერთ რამეში ვერ დავეთანხმებით კომუნისტებს,

— არ არსებობსო ღმერთი. სხვაში — ყველაფერში. ამიტომაც, ყრილობის მონაწილეთა აზრით, წინააღმდეგობების გადალახვა საეკლესიო შესაძლებელია, თუ ეკლესია ხელისუფლების მოსაწონად მოიქცევა, გაატარებს რეფორმებს სხვადასხვა სფეროში.

როგორც ვხედავთ, „ღეთის რისხვისაგან“ ეკლესიის ხსნის ერთადერთ გზად მორაწმუნეთა ნაწილმა ტოტალიტარული რეჟიმის წინაშე ქედის მოხრა აღიარა. თუმცა „ეკლესიის დროებით მმართველობას“, რომელიც შეიქმნა აღნიშნულ ყრილობაზე, უზენაესი სასულიერო ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნა არ წამოუყენებია, განჩინების სტრიქონსა და სტრიქონს შორის იკითხება კათალიკოსის წუთისოფლიდან მალე წასვლის სურვილი. ჩანს, ეს სურვილი დღითი დღე ძლიერდებოდა და, აი, 1927 წლის 22 მარტს გადაწყვიტეს კ-პ ამბროსის გათავისუფლება „საქმეთა წარმოებისაგან“. მილიციის დახმარებით მას ჩამოართვეს დოკუმენტაცია და ჩიზარეს კანცელარია. აქვე ვიტყვი, რომ ქუთაისის საეკლესიო ყრილობის ყველა დებულება და დადგენილება მეცნიერულად, წყაროთმცოდნეობის დონეზე, გააბათილა კალისტრატე ცინცაძემ. მან, უკვე მიტროპოლიტად პატივდებულმა, იმავე წლის 25 აპრილს განასრულა 456 გვერდიანი შრომა, — „ქუთაისის საეკლესიო ყრილობის გამო“ („მწარე მოგონებანი საქართველოს ეკლესიის ახლო წარსულიდან“) (ხელნაწ. ინსტ. კ.ცინცაძე, 102). ესაა საქართველოს ეკლესიის ახლო წარსულისა თუ, საერთოდ, ორთოდოქსული სამყაროს იურიდიულ-კანონიკური წყობის ისტორიულ ჭრილში გასაცნობად ფასდაუდებელი დოკუმენტი, რომელიც მთავრდება ასე: აღნიშნული გადაწყვეტილება „გამოუცხადეს მის უწმიდესობას მარტის 23. ამ გამოცხადების მეორე დღეს კათალიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ დაკარგა ენის ხმარების შესაძლებლობა (მარტის 25), მარტის 27 გონებაც, ხოლო მარტის 29 დილის სამ საათზე განუტევა სული... არ უნდა აეჭქარებულიყავით!...“

საქართველოს ეკლესიის იერარქიაში პროსაბჭოურმა ფრაქციამ გაიმარჯვა: 1927 წლის 21-27 ივნისს სრულიად საქართველოს IV საეკლესიო კრებამ კათალიკოს-პატრიარქად აირჩია მიტროპოლიტი ქრისტეფორე (ციციშვილი). გაუქმდა საკათალიკოსო საბჭო. დაწესდა კათალიკოს-პატრიარქის ერთპიროვნული მმართველობა.

კ-პ ქრისტეფორეს კურსი ოპორტუნისტული იყო. თუმცა, შეიძლება ითქვას თამამად და პირდაპირ, მან კრაზი განიცადა, რადგან სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. არც იყო მოსალოდნელი. იმხანად, კომუნისტური პარტიის ყრილობის დადგენილების ძალით, გაჩაღდა ქვეყნის კოლექტივიზაცია, რაც ახალი ადამიანის — „რელიგიური ბანგისაგან“ თავისუფალი მოქალაქის — აღზრდას ისახავდა მიზნად. დიწყო ანტირელიგიური ომი ამაზრუნენი საშუალებებით. ნიშუშად დავასახელებთ ორს: ანტირელიგიურ სათამაშოებს და პროცესიებს. პირველი, სხვა უცნაურობებს შორის, გულისხმობდა „ანტირელიგიურ ტირს“, რის შესახებაც გვაუწყებს გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“: „ამ თამაშის გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, სააღდგომო უქმებთან დაკავშირებით, რადგან მას შეუძლია თამაშში ჩააბას მთელი კოლექტივი და მოთამაშებში გამოიმუშაოს ერთგვარი წინდახედულება და გონებაბახვილობა.“

საამისოდ საჭიროა შემდეგი მოწყობილობა: ფანერის ფიცარი, რომელზედაც გამოხატულია სხვადასხვა რელიგიური კულტის წარმომადგენელთა სურათები... და პატარა ბურთები“ (1928, 18, IV, №137). რაც შეეხება „პროცესიებს“: აზვირთებული ათეისტები ჩამოაცვამდნენ გადაჯარედინებულ ჯოხებს მღვდლის სამოსელს, ჩამოკიდებდნენ ჯვარს, დაიპერდნენ საეკლესიო რელიქვიებს (ხატ-სანაწილეებს, ბაირაღებს, სამწერობლებს), დადიოდნენ ქუჩებში, კვებოდნენ სიცილით, ილანძობოდნენ, იმუშტებოდნენ, ბილწავდნენ სიწმიდეებს, შეხინტრიცდებოდნენ ეკლესიებში, ოხუნჯობდნენ, ამასხარავედნენ მორწმუნეებს: ხშირად სცემდნენ, გიდელში ან ქვევრში სვამდნენ და აგორებდნენ, მღვდლებს წვერებს აკრეჭდნენ, ალაგ-ალაგ ტაძრებსაც ანგრევდნენ, რასაც ქეთვი („ოჩხარი“) მოყვებოდა ხოლმე.


„მუკელების“ (მებრძოლ უღმერთოთა კავშირის) თარეშმა ლამის ნაცარტუტად აქცია ივერიის ეკლესია. ქართველ მორწმუნეთა გუჟყვის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „მოგველონა ღვთის რისხვა... დაიხაგრა სარწმუნოება და დაკინდა სამღვდლოება. უკანასკნელი იდევნება ყველგან და ყველგან. იგი ისპობა ფიზიკურად და ჩლუნგდება გონებრივად. დღითიდღე ხელიდან გვეცლებიან საუკეთესო სასულიერო მოღვაწენი, ხოლო მათი შემცველი ნაკლებად ჩანს...“ (ხელნაწ. ინსტ. კ. ცინცაძე, 228).

ასეთ ვითარებაში მღვდლების დიდმა ნაწილმა, ნებსით თუ უნებლიეთ, მიატოვა მრევლი. ზოგმა სახალხოდ დაგმო ღმერთი და სარწმუნოება. ზოგიც გაუკუღმართებული რჯულის — ცრუმორწმუნეობის — ქაობში ჩაიძირა. გაწყვიტა მეტროპოლიასთან კავშირი და დაიწყო საეკლესიო წესების თვითნებურად შესრულება, სისხლიანი მსხვერპლის შეწირვა და ჯადოსნობაც კი. ამ მოვლენამ სერიოზულ მასშტაბს მიაღწია, რამაც, მოგვიანებით, აიძულა კათალიკოსი კალისტრატე ცინცაძე საგანგებო ეპისტოლეთი მიემართა მრევლისათვის (იხ. „საღვთისმეტყველო კრებული“, 1987, №3, გვ. 170—172).

კათალიკოს-პატრიარქის ყოველი ცდა, გამოეყვანა ეკლესია კრიზისიდან, ამოა აღმოჩნდა. ვერც მეხუთე საეკლესიო კრებამ (1929 წლის 8 ივლისს). რომელმაც განსაზღვრა ეკლესიის შინაგანაწესი და ახალ გარემოში სამღვდლო პირთა იურიდიული სტატუსი, შეანელა სასულიერო პირთა მიგრაციის ტემპი. ეკლესიას სექტად გადაქცევის საფრთხე დაემუქრა.

1932 წლის 10 ივნისს უწმიდესი ქრისტეფორე გარდაიცვალა. ტახტი იმა წლის 24 ივნისს, სრულიად საქართველოს VI საეკლესიო კრების გადაწყვეტილების თანახმად, მანგლელმა მიტროპოლიტმა კალისტრატე ცინცაძემ დაიკავა. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საზოგადოების თვალში. მეტადრე — სამეცნიერო წრეებში. მისი მცდელობით, მწერალ გრიგოლ რობაქიძესთან ერთად, ზუროთმომძღვრების მრავალი შედევი გადაურჩა დანგრევას. მათ შორის — თბილისის ქაშვეთი. მაგრამ 30-იან წლებში ანტისაეკლესიო ფსიქოზის დაოკება შეუძლებელი გახდა.

კათალიკოს კალისტრატეს პირადი საარქივო ფონდი (№70) შეიცავს მდიდარ



მასალას ეკლესიისა და სახელმწიფოს იმდროინდელი ურთიერთობის წარმოჩენისათვის. ირკვევა, რომ ადმინისტრაცია კულტის მსახურთაგან, ბეგარის სახით, მოითხოვდა თანხის იმ რაოდენობას, კატასტროფულად რომ აღემატებოდა რეალურ შემოსავალს ვინაიდან სამრევლოებს გადასახადი ვერ შეჰქონდათ, ოფიციალური ინსტანციები, ფინანსპეტროტა საიჭურების საფუძველზე, ტაძრებს ლუქავდნენ და მღვდლებს იძულებით სამუშაოებზე გზავნიდნენ. ასე დაიკეტა საქართველოს ემბაზი სვეტიცხოველი. მასთან ერთად კი — ათასობით ეკლესია და მონასტერი. 1934 წელს საქართველოს ტერიტორიაზე მართლმადიდებელ სამრევლოთა რიცხვი არ აღემატებოდა 15-ს. სამთავროს მონაზვნებს კათალიკონში წირვა აუკრძალეს, რის გამოც მათ ტრაპეზი სარდაფში გამართეს. მმართველობის უმაღლეს ეშელონში გამოიტანეს დადგენილება თბილისის სიონის დახურვის შესახებ, რაც, ფაქტიურად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის, როგორც ლეგალური ინსტიტუტის, გაუქმებას ნიშნავდა. კათალიკოს-პატრიარქმა საგანგაშო მდგომარეობა გამოაცხადა. ტელეგრამა გაუგზავნა სტალინს და სთხოვა შუამდგომლობა. მისი თქმით, „საქართველოს ეკლესიას კარს მოსდგომია ისეთი განსაცდელი, რომელსაც შეუძლია სავსებით მოუღოს მას ბოლო სულ მოკლე ხანში...“ ფეხზე დადგა ინტელიგენცია, რის გამოც საქართველოს საპატრიარქოს ანულორების კურსი გაქიანურდა. ამასობაში დაიწყო ომი. საბჭოთა ხელისუფლება რელიგიის მიმართ უფრო ლოიალური გახდა. კათალიკოსის თხოვნა-განცხადებები დააკმაყოფილა და ეკლესიამ, შეიძლება იქთვის, განსაცდელს თავი დააღწია.

### ომი და მშვიდობა

მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოს ეკლესია, მამათმთავრის წანამძღვრობით, ანტიფაშისტური ძალების მხარეზე იდგა. ფრონტისათვის სახელმწიფო ბანკში გახსნილი იყო კათალიკოს-პატრიარქის პირადი ანგარიში, სადაც სოლიდური თანხა დაგროვდა. პრესითა თუ მიტინგებზე გამოსვლით მოხუცი კათალიკოსი ხალხს გამარჯვების რწმენას უნერგავდა, რისთვისაც მთავრობამ და პირადად ი.ბ.სტალინმა მადლობა გამოუცხადეს.

1941-1945 წლებში საქართველოს ეკლესიას, სხვა რელიგიური ორგანიზაციების მსგავსად, აქტიურობის მეტი საშუალება მიეცა: დიდ ქალაქებში ამოქმედდა რამდენიმე ეკლესია, გამოიცა კალენდარი, „საქართველოს ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულება“, „სიონის ტაძრის მცირე ცნობანი“, „ლვთისმსახურების დროს სავედრებელი თხოვნანი“ (ქართულად და რუსულად). ჩაისახა სასულიერო სასწავლებლის გახსნისა და პერიოდული ჟურნალის დაარსების იდეა.

გაღღა ყინული რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის: 1943 წლის 28 ოქტომბერს თბილისში სტუმრად ჩამოვიდა სრულიად რუსეთის პატრიარქის, სერგის,

ოფიციალური წარმომადგენელი — სტავროპოლისა და პატიგორსკის მთავარეპის-  
კოპოსი ანტონი. კვირას, 31 ოქტომბერს, სიონის საკათედრო ტაძარში მისი მეუღლის  
თანამწირველობითა და კათალიკოს-პატრიარქ კალისტრატეს მიერ აღესრულა საღმ-  
რთო ლიტურგია, რის მადლითაც აღდგა ურთიერთობა მოძმე ეკლესიებს შორის  
(„Журнал Московской Патриархий“, 1944, №3, გვ. 13-19).

ამ აქტით რუსეთის ეკლესიამ სცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია დე-  
იურე, რაც აუწყა კიდეც აღმოსავლეთის პატრიარქებს.

კ-პ კალისტრატე ცინცაძის ერთი საარქივო დოკუმენტის საფუძველზე ირკვევა,  
რომ 1937 წლის შემდეგ კათალიკოსს, ხელისუფლებასთან შეთანხებით, დაუწყია  
სასულიერო პირების რეგისტრაცია, რომლებიც ეკლესიის გარეშე დარჩნენ, მაგრამ  
მაინც ემსახურებოდნენ კულტს ამა თუ იმ ფორმით. 1945 წელს საქართველოში  
აღრიცხული ყოფილა 135 ეკლესიის მსახური. მოქმედი ტაძრების რიცხვი კი 29-მდე  
გაზრდილა. ეკლესიები ამოქმედებულა შემდეგ ქალაქებში — მანგლისში, სტალინირს  
(ცხინვალსა) და ბათუმში. კათალიკოს-პატრიარქი დადებითი კონტექსტით აღნიშნავს  
1943 წელს საკავშირო მთავრობასთან რელიგიის საქმეთა საბჭოს დაარსების ფაქტს,  
რომელსაც შუამავლის როლი უნდა შეესრულებინა ეკლესიასა და სახელმწიფოს  
შორის (აღნიშნული დოკუმენტი იხ. კრ.: „საქართველო მეორე მსოფლიო ომის პერი-  
ოდში“, თბ., 1993, გვ.90—92).

## კულტურული ორიენტაცია

საგანგებო მსჯელობის საგანია საქართველოს ეკლესიის კულტურული ორიენტა-  
ცია აღნიშნულ პერიოდში. თავიდანვე გამოიკვეთა მიდრეკილება რეფორმაციისაკენ,  
რაც აისახა იმდროინდელ პრესაშიც. მაგალითად, 1917 წლის 1 ოქტომბერს, კათალი-  
კოს-პატრიარქის ინტრონიზაციის დღეს, გაზ. „საქართველო“ (№235) გამოთქვამდა  
შემდეგ სურვილსა და იმედს: „ჩვენი ეკლესიიდან განიდევნება შეუსაბამო თეატრალო-  
ბა, ხოლო მმართველობაში მოისპობა ის შესაზარი ბიუროკრატიული წესები, რომე-  
ლიც აზნობდა სარწმუნოებას და მის ნაცვლად ამყარებდა კლერიკალობას და მწვალე-  
ბლობას. განათლებული კათალიკოსის დახმარებით ჩვენი ეკლესია აღადგენს ძველ  
მარტივ წესებს და ნამდვილ ეროვნულ ადათებს; დაგმობს ცეზაროპაპის პოლიტიკას  
და მართვა-გამგეობის საქმეს მოაწყობს ისე, როგორც მოითხოვს თანამედროვე ცხო-  
ვრების პირობები“.

ეს რომ მხოლოდ მითითებული გაზეთის რედაქტორის, მოსე ჯანაშვილის, თვალ-  
საზრისი არ იყო, ცხადყოფს, ზემოხმოილი ფაქტების გარდა, საკათალიკოსო საბჭოს  
1922 წლის 19 ოქტომბრის განჩინება, რომელიც ცალკე ფურცლად გამოიკა და  
ვრცელდებოდა საზოგადოებაში. იქ კვითხულობთ: „დადგა დრო, როდესაც შინაგან

თითქმის მოწყობილი ეკლესია დაუყოვნებლოვ უნდა შეუდგეს მის მიერ წინასწარ დასახულ მიზნების განხორციელებას: განიწმინდოს მონარქიულ რეჟიმის ზეგავლენის ნაშთებისაგან, შეუფარდდეს ჩვენი ხალხის სულისკვეთებას, განმარტივდეს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათა მიხედვით, მაგრამ ისე კი, რომ ხელუხლებელი დარჩეს ქრისტე მაცხოვრის დიადი მოძღვრების არსებითი მხარე“. განიხილებას ხელს აწერენ: კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი, მიტრ. ნაზარი ქუთათელი, ეპ. დავით ჭყონდიდელი-შემოქმედელი, ეპ. იოანე ცხუმ-აფხაზეთელი, ეპ. ქრისტეფორე ურბნელი, დეკ. კცინცაძე, დეკ. მ.ტყემალაძე, პროფ. კ.კეკელიძე და ივანე რატიშვილი.

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე დაიწერა და საკათალიკოსო საბჭოს განსახილველად წარედგინა რამდენიმე პროექტი, რომელთა უმთავრესი ნიშანი საზოგადო თუ კერძო ღვთისმსახურების გამარტივება, ცხოვრების საერო და სასულიერო წესების ერთმანეთთან დაახლოება ანუ ურთიერთგანმსჭვალვა იყო. შემუშავდა წირვა-ლოცვისა და კურთხევათა შემოკლებული ვარიანტები, ახალ პირობებთან შეხამებული სასულიერო სასწავლებლის პროექტი და, რაც მთავარია, გამოიცა დადგენილება ახალი სტილის კალენდარზე გადასვლის შესახებ. უკანასკნელი საყურადღებო საკითხია და მიმოვიხილავთ რამდენიმე სიტყვით.

1918 წლის 14 აპრილს საქართველოში გამოქვეყნდა დეკრეტი დროის შესახებ, რის თანახმადაც 18 აპრილი გამოცხადდა 1 მაისად. ამიერკავკასიის კომისარიატმა (საქართველო ჯერ კიდევ იმპერიის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა) კათალიკოს-პატრიარქ კირიონს ტელეფონოგრაფით შესთავაზა, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, გაეცა განკარგულება რეფორმის თაობაზე. ჩვენთვის ცნობილია სხვადასხვა წყაროდან, რომ კირიონი, იმდროინდელი საქართველოს სხვა იერარქების მსგავსად, ევროპული ორიენტაციის მართლმადიდებელი მღვდელმთავარი იყო. ამიტომაც აკურთხა ეს ნაბიჯი, მაგრამ საეკლესიო-ლიტურგიკის სფეროში იგი ვერ დანერგა. მიზეზად უნდა დავასახელოთ შემდეგი: აღმოსავლეთის ყველა ეკლესიაში დღესასწაულები იმხანად იულიუსის კალენდრის მიხედვით აღინიშნებოდა, ხოლო საქართველოს საპატრიარქოს ნოვატორობას შეიძლებოდა ხელი შეეშალა ისედაც გამწვავებული საგარეო პრობლემების მოგვარებისათვის. მიუხედავად ამისა კალენდრის საკითხი საკათალიკოსო საბჭოს დღის წესრიგიდან არ მოუხსნია.

და, აი, 1923 წელს საქართველოში შემოაღწია ცნობამ, რომ კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებამ, რომელშიც მონაწილეობდნენ აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებიც და, ამდენად, მას რეალურად მსოფლიო კრების მისია ჰქონდა, გამოიტანა დადგენილება გრიგორისეული კალენდრის სასარგებლოდ.

იმავე წლის 1 ნოემბერს საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ, პატიმრობაში მყოფი კათალიკოს-პატრიარქისა და საკათალიკოსო საბჭოს წევრების დასტურით, მიიღო გადაწყვეტილება მოძრავი-უძრავ დღესასწაულთა ახალ სტილზე გადაყვანის შესახებ, რასაც მოსახლეობის უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, რადგან ეს

რეფორმა გაიაზრეს კომუნისტური მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიის პროდუქტად. ეს აზრი ხალხში ფსიქოზად ჩამოყალიბდა. ვითარება გართულდა: ე.წ. მექველსტილე მორწმუნეთა აქტიური ჯგუფები მღვდლებს ეკლესიის კარებს უკეტებდნენ, არ აძლევდნენ საშუალებას, მაგალითად, საშობაო წირვის ახალი სტილის 25 დეკემბერს დაყენებისა, ემუქრებოდნენ ფიზიკური ანგარიშსწორებითაც კი. დიწყო უწესრიგობა. ერთსა და იმავე დღესასწაულს აღდგომას, შობას და ა.შ. ზოგჯერ ერთსა და იმავე ეკლესიაში ორჯერ იხდიდნენ, რაც ათეისტების სიცილ-კისკის იწვევდა. პრესაში სარკასტული წერილები ქვეყნდებოდა. ამის გამო კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი იძულებული გახდა 1925 წლის 24 მარტს კვლავ ძველ სტილს დაბრუნებოდა. გამოითქვა აზრი, რომ ერთბაშად მოვიდნომეთ ბერის გაკეთება: ჯობდა, მოძრავი დღესასწაულები — ე.ი. პასქალია — დაგვეტოვებინა ძველ სტილზე, როგორც ეს მოიმოქმედა კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ. იქნებ ამით ავეცილებინა თავიდან ზოგიერთი გაუგებრობა.

1927 წლის 17 თებერვალს მართლმადიდებელი ეკლესიის სამეუფო ქალაქში ... კონსტანტინოპოლში — გამოქვეყნდა პატრიარქული და სინოდალური ეპისტოლე, რითაც ერთხელ კიდევ გაესვა ხაზი ახალი სტილის კალენდრის სიზუსტეს, რელიგიურ-ლიტურგიკული თვალსაზრისით სანდობას და უპირატესობას. აღინიშნა, რომ კალენდრის პრობლემა არ არის დოგმატიკის სფერო. ამის გამო არც ერთ კრებას არ აუკრძალავს მისი გადამუშავება. კანონი წმ. პასექის შესახებ „ემყარება არა რომელიმე კალენდარს, არამედ დღე და ღამის თანასწორობას. ეს დადგენილება წმიდა კრებისა სულ მცირედიტაც არ ეხებოდა კალენდრის რეფორმას“. აქედან ცხადია, სააღდგომოსადღესასწაულო განაწესის შესრულება ან დარღვევა შესაძლებელია ეპითალოციების ნებისმიერი სტილის ფარგლებში. ამიტომაც, აღნიშნა ყოვლადუწმიდესმა პატრიარქმა ბასილემ, სასურველია, დემაგოგთა და ეკლესიაში შფოთვის შემომტანთა საპირისპიროდ, აღმოსავლეთის სხვა ეკლესიებმაც ყურადიღონ უმჯობესი რჩევა-დარიგებანი.

საქართველოს ეკლესიის უწმიდესი სინოდი დროულად გამოეხმაურა ამ დოკუმენტს და სრულიად საქართველოს IV საეკლესიო კრებაზე 1927 წელს განაახლა მსჯელობა დროის აღრიცხვის თაობაზე.

გადაწყდა, — დაკანონებულიყო ახალი სტილი უძრავ დღესასწაულთათვის. ასეც მოხდა, მაგრამ კვლავ აზვართდა საპროტესტო ტალღა. რუსულენოვანი მრევლი და მათ მიკედლებული ქართველები განდგომით იმუქრებოდნენ. მოსკოვსაც მეტი არა უნდოდა რა. მას არ ეკაშნიკებოდა საქართველოს საპატრიარქოს რუსეთისაგან განსხვავებულ პოზიციაზე დგომა. კომუნისტები ეკლესიის სექტად გადაქცევას, ნაქუქში მოქცევას, საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან გარიყვას ღამობდნენ. ერთსა და იმავე სახელმწიფოში ორი სტილის თანადროულად არსებობა ამ ჩანაფიქრს უმართადა ხელს. უნდა ვიფიქროთ, რომ სპეცსამსახურები იშვიათი პროფესიონალიზმითა და ოსტატობით აღრმავებდნენ უფესკრულს საერო და სასულიერო ცხოვრებისეულ ტრა-



დციებს შორის და შეფარვით აქეზებდნენ ორთოდოქს-ფუნდამენტალისტებს, მეძველსტილებსა და რუსოფილებს, ზოგადად, წეს-ჩვეულებების გამაფეტისებლებს, რომლებიც ერთმანეთისაგან ვერ არჩევდნენ დოგმატს და კულტს, რჯულის არსებით და არარსებით მხარეებს და, ამდენად, ემსგავსებოდნენ „სტაროვერებს“ ანუ „სტარობრიადეებს“. ისინი ყველაფერში, რაც დასავლეთთან იყო დაკავშირებული, ლანდავდნენ ერესს და კათოლიციზმს. მათი ფანატიზმისა თუ ფანატიკოსობის თამაშის ალაგმვა მაშინ საკათალიკოსო სინოდმა ვერ მოახერხა და 1928 წლის 28 სექტემბერს დროებით შეაჩერა 1927 წლის კრების დადგენილების მოქმედება. მიზეზად დაასახელა:

1) საინფორმაციო საშუალებების არარსებობა, მრევლი რომ გაეთვითცნობიერებინა (მოძღვრებს, ტოტალიტარული რეჟიმის გამო, ხელ-ფეხი ჰქონდათ შეკრული) და 2) რუსეთის ეკლესიის ფაქტორი, მისი გავლენა ჩვენი ხალხის ცხოვრებაზე აღნიშნულ სფეროში. იმავე დადგენილების თანახმად, სინოდმა მღვდელმთავრებს, მღვდლებსა და შეგნებულ მორწმუნეებს დაავალა, „განუმარტონ მორწმუნეთ ახალი კალენდრის მთლიანად მიღების მიზანშეწონილობა და აუცილებლობა საეკლესიო ცხოვრებაში“ (მასალები იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1929 წლისათვის, გვ. 32-34).

შემდეგ კალენდრის საკითხისათვის ჩვენს ქვეყანაში აღარავის ეცალა, რადგან მეორე მსოფლიო ომამდე საქართველოს ძველთუძველესი ეკლესია, როგორც ლეგალური ორგანიზაცია, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა. სამაგიეროდ, გვსმენია სარწმუნო კატაგან, ღრმადგანსწავლულმა კათალიკოსმა კალისტრატემ 40-იან წლებში მოინდომა IV საეკლესიო კრების დადგენილების ძალაში შეყვანა, მაგრამ, ბევრი ფიქრისა და თათბირის შემდეგ, თავი შეიკავა, რადგან კვლავ ანგარიში გაუწია რუსეთს.

ამდენად, კალენდრის საკითხი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ღიად დარჩა, რაც შემდეგ ნიშნავს: IV საეკლესიო კრების დადგენილება არაა გაუქმებული; მხოლოდ შეჩერებულია გარემოებათა გამო. ეს დადგენილება სრულ თანხმობაშია მართლმადიდებლობის ციტადელს — ბიზანტიონის ანუ კონსტანტინოპოლის პოზიციასთან. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენმა ეკლესიამ და მისმა იერარქიამ ავტოკეფალიის აღდგენის დღიდან კურსი დასავლეთისაკენ აიღო — კონსტანტინოპოლისაკენ და ამ კურსის არსებითი ნიშანი ცივილიზებული აზროვნება იყო.



საქართველოს ეკლესია  
ორ მსოფლიო ომს შორის

გამომცემელი ფირმა „საბი“  
ტირაჟი 1 000 ეგზ.